

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXII

2021 წლის 8-11 ივნისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2021

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის **სხდომათა დარბაზში** (პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

8 ივნისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ.მაჭავარიანი, მ. ღლონტი**

- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, უარყოფითი ნაწილაკების ერთი რიგის (*დემის, მადე*) ფუნქცია სვანურ უარყოფით წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით
- თ. გ უ ჩ უ ა, სამეტყველო მოვლენები და სამეტყველო აქტები კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მიხედვით
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, კიდევ ერთხელ – ენის სიწმინდისათვის
- ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ზოგი თანდებულის თავისებური წარმოებისთვის კახურში
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ცხოველთა სახელები სვანურ ტოპონიმებში
- ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის ფორმებისათვის ფშაურში
- ნ. ხ ო ჟ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სახელ *მანანას* სემანტიკის საკითხი ქართულში და მასთან დაკავშირებულ რიგ სამეცნიერო ფიტონიმთა განახლების აუცილებლობა
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, აფხაზური ენის ხშულ ფონემათა დისტრიბუცია ანლაუტში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)

9 ივნისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. არდოტელი, თ. ვაშაკიძე**

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფ. ა ფ ხ ა ი ძ ე, ნ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ც. გ უ ლ ე დ ა ნ ი, სვანური ზღაპრების უორდროპისეულ თარგმანთა ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში
- მ. დ ლ ო ნ ტ ი, ფუძემონაცვლე ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური არჩევანისათვის ქართულში (ძლევა – ცემა)
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველოლოგიური შენიშვნები
- ს. ო მ ი ა ძ ე, გლუტონიმისაგან ნაწარმოები ერთი ზმნიზედის („თათარიახნად“) შესახებ
- ქ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, III პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა პარადიგმები თანამედროვე ქართულში
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ზანურის გზით შეთვისებული ლექსიკური ერთეულისათვის სვანურში
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ენაბრგვნილი, ენაბრკუფ, ენა-ბრკვწვალ სიტყვების ისტორიისათვის ქართულში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, საუბრის შინაარსი შემცველი იდიომებისათვის მეგრულში

10 ივნისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **თ. ბურჭულაძე, ქ. მარგიანი**

- გ. გოგოლაშვილი, გრძელი ხმოვნების საკითხისათვის თუშურ დიალექტში
- რ. ფარეულიძე, -ლ ფორმანტის ფუნქციები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში
- ნ. არდოტელი, მახვილის საკითხისათვის დიდოურ ენაში
- ი. ჩაჩანიძე, ენისა და ერის ურთიერთმიმართების პრობლემა გაბრიელ ეპისკოპოსის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში
- თ. ბურჭულაძე, ზოგი ზმნური შესიტყვების აქტუალიზაციისათვის ზეპირ მეტყველებაში
- ნ. შავრეშიანი, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური წინადადება სვანურში
- მ. ლაბარტყავა, აკა მორჩილაძის სტილის ზოგი თავისებურებისათვის („შენი თავგადასავალი“)
- ს. ჭაავა, ქართულ-აფხაზური ოჯახების ახალგაზრდა წევრთა ენობრივი და ეთნიკური ბიოგრაფიები (საველე მასალა და მისი ანალიზი)

11 ივნისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **მ. სუხიშვილი, ვ. შენგელია**

ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სუფიქსი -ზა ტოპონიმებში

ლ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე, ლ. ხ უ ჭ უ ა, ქართულ საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონი

თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ენობრივი პოლიტიკის კლასიკური (ადრეული) პერიოდის ისტორიიდან

რ. ლ ო ლ უ ა, უდიური დამწერლობის შემუშავების მცდელობათა შესახებ

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, აქცენტისა და დიქციის ზოგი თავისებურება ქართულზე, როგორც არამშობლიურ ენაზე საუბრისას

ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, სამი აფიქსური წარმოების შესახებ მეგრულში

რ. კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი, ქართული და იბერიულ-კავკასიური რიცხვითი სახელები შედარებითი თვალსაზრისით

ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, რამდენიმე შენიშვნა აფრიკატიზაციის შესახებ ჩერქეზულ ენებში

მახვილის საკითხისათვის დიდოურ ენაში¹

1. ლინგვისტური მახვილი ეწოდება ხმოვნის არტიკულაციამოდულაციის თავისებურებას, რომელიც ვლინდება დინამიკურობით (resp. ექსპირაციულობით) და ტონურობით (resp. მუსიკალურობით). სწორედ სიტყვათმახვილის ბუნების დადგენისას გამწვანებულია დინამიკურ და ტონურ მახვილთა დომინანტურობის კოეფიციენტის განსაზღვრა, ვინაიდან მახვილის სახეობები ენებში ჩვეულებრივ თანაარსებობენ და ერთმანეთზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ (გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ლ. ზინდერი...). ბუნებრივია, იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, მსოფლიოს სხვა ენათა ანალოგიურად, არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს. ირკვევა, რომ ისტორიულად ინტენსიურ-დინამიკურ მახვილს მეტი გასაქანი უნდა ჰქონოდა, რასაც ცხადყოფს ამ მახვილისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა უმრავლესობა.

2. ზოგადად, დიდოურ ენათა, კონკრეტულად კი, საკუთრივ დიდოური ენის მახვილს სხვადასხვადროულად რამდენიმე მკვლევარი შეეხო, მაგრამ ამ ენის მახვილის ბუნება და ადგილი დღემდე საკამათოა. დიდოურ ენათა მკვლევარ-კავკასიოლოგებიდან ერთნი სუსტ-დინამიკურ მახვილს გამოყოფენ (დ. იმნაიშვილი, ე. ბოკარევი, ე. ლომთაძე...), მეორენი მახვილის ტონურობას (resp. ფრაზის მახვილს) უსვამენ ხაზს (ე. კიბრიკი, ს. კოდასოვი...), ხოლო მესამეთ დუალისტური პოზიცია უჭირავთ და ორივე სახის მახვილის თანაარსებობაზე საუბრობენ (ჰ. ვან დენ ბერგი, ბ. ქომრი, მ. ხალილოვი, ზ. ხალილოვა...). ე. ლომთაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა დიდოურ ენათა სიტყვათმახვილის საკითხები და კვლევის შედეგები წარმოადგინა მონოგრაფიის სახით², რომელზეც იაკ. ტესტელეცს გამოთქმული აქვს კრიტიკული შენიშვნა: „...монография особенно примечательна тем, что посвящена не существующему в действи-

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

² იხ. ე. ლომთაძე, სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში. თბ., 1984.

тельности явлению – динамическому ударению в цезских языках“ (Я. Г. Тестелец 1993: 126). ამასთანავე, მ. ხალილოვი, რომელიც ერთ-გვარად მხარს უჭერს იაკ. ტესტელეცის მოსაზრებას¹, თავადაც ე. ლომთაძის ანალოგიურსავე ახსნას გვთავაზობდა ბოლო დრომდე.

3. ჩვენი თვალსაზრისით, დიდოურ ენაში სუსტ-დინამიკური მახვილია დომინანტი, რომელიც ქართული ენის მახვილთან ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს. კერძოდ, ისტორიულად დიდოურში უნდა გვექონოდა ძლიერ-დინამიკური მახვილი, ამჟამად კი გვაქვს სუსტ-დინამიკური (ტონურობისკენ მიდრეკილი) მახვილი, რომელიც მიღებული ჩანს, ერთი მხრივ, ექსპირაციული მახვილის დასუსტებით², მეორე მხრივ კი, სიგრძისა და ტონის თანდათანობითი გაზრდა-განვითარებით.

ისტორიულად დიდოურში ძლიერ-დინამიკური მახვილი არსებობის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ორიოდ ნარედუქციალი მაგალითი: ცახრ-ა (<ცახერ-ა) „დაწერინება“, ჰუნრ-ხ (<ჰუნრ-ხო) „გზასთან“, „გზაზე“ და მისთ.

4. ჩვენი დაკვირვებით, დიდოური მახვილი, მიუხედავად თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში დამკვიდრების ტენდენციისა, არაფიქსირებულია, ვინაიდან იგი შეიძლება მოუდიოდეს როგორც ძირ-ფუძისეულ მორფემებს, ისე აფიქსებსაც. ამასთანავე, მახვილს დისტინქციური ფუნქციაც მოეპოვება, მაგ.: ცახა „წერა“ – ცახა 1. მედ. „აჯრა“. 2. „ნიშანი“, „კვალი“, სახ. ქიდ „გოგო“ – მიც. ქიდბჟ-რ, ნათ. ქიდბჟ-ს...

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს სამზე მეტმარცვლიანი სიტყვა-ფორმები და კომპოზიტები, რომლებშიც ძირითად მახვილთან ერთად თანამახვილიც შეინიშნება, მაგ.: სემორაბი „ნუნები“, ქჩუ-ობრუბი „წინაპრები“ (ზედმიწ. „პაპა-მამანი“) და სხვ.

¹ Бернард Комри, Мажид Халилов, Заира Халилова, Грамматика бежтинского языка. Лейпциг-Махачкала, 2015, С. 106-112.

² დინამიკური მახვილის დასუსტება წინაპირობაა მუსიკალური მახვილის წარმოსაქმნელად.

ზოგი ზმნური შესიტყვების აქტუალიზაციისათვის ზეპირ მეტყველებაში

ზეპირი მეტყველება მრავალმხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს როგორც თავისებური ინტონაციითა და სიტყვათგანლაგებით, ასევე წინადადებათა სპეციფიკური სინტაქსური აგებულებით. ის მეტად მრავალფეროვანია და, რაც მთავარია, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს. მის ერთ-ერთ სპეციფიკურ გამოვლენად მიჩნეულია წინადადების აქტუალიზაცია.

აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველება, რომელშიც სამეტყველო სიტუაცია უფრო მდიდარია. მას ახასიათებს სიტუაციურობა. სიტუაციას ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოიყენებოდეს მეტყველების პროცესში. აქტუალიზაციის აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შინაგანი მაჩვენებლები, რაც ვლინდება ემოციური შეფერილობით. ის ასევე შესაძლებელია განხორციელდეს გარეგნული საშუალებებითაც.

ზეპირ მეტყველებაში ლექსიკურ აქტუალიზატორად ხშირად გამოიყენება ჩართული ზმნები ან ზმნური შესიტყვებები. მათ შორის გამოსაყოფია **ვთქვათ** ზმნა და მისი შემცველი სიტყვა-ფორმები: **ვთქვათ, კაცმა რომ თქვას, სიმართლე რომ ვთქვათ, მართალი რომ ვთქვა, რომ იტყვიან:**

„ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, **ვთქვათ**, მივიდივართ“; „გერასიმე, სხვანაირად რომ მივუდგეთ საკითხს, **ვთქვათ**, გავიფიქროთ, რომ ვინმე ერთი, რომელიღაცა, პირველი ხომ უნდა ყოფილიყო აუცილებლად და ყოველ მიზეზს გარეშე იმ ზღვა ხალხში, უფრო უბრალოდ მოგვეჩენება მისი გამარჯვება“; „**ვთქვათ**, ორ მცირე ერს შორის წარმოიშვა კონფლიქტი“; „**ვთქვათ**, და მართო არ ყოფილიყავი?“; „**ვთქვათ**, შენ მართალი ხარ, მერე, რატომ შენ აღარ მუშაობ ქართული კულტურისათვის?“; ჩემი გაგებით, **ასე რომ ვთქვათ**, აქ უნდა გადაწყდეს მიღება-არმიღების საკითხი“; „თითქოს აღარც არაფერი გაკვირვებს და აღარც გამინებს,

ასე რომ ვთქვათ“; „**კაცმა რომ თქვას**, ასეთ რამეებზე არც ის იტკივება და თავს“; „ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, **კაცმა რომ თქვას**, მადლიცაა“; „**მართალი რომ ვთქვათ**, დიდი ხელჩასაჭიდი მიზეზი გალერის დასატოვებლად ნამდვილად არ მქონდა“; „მეც უნებურად მივეყვი მის მაგალითს, თუმცა, **მართალი რომ ვთქვა**, არავითარი მიზეზი სიცილისათვის არ მქონდა“; „ბაბუცა, **რომ იტყვიან**, ცქრად იყო გადაქცეული“; „ზოგი ჭირი მარგებელია, **რომ იტყვიან**, ისე მომივიდა“; „ზოგიერთი, **რომ იტყვიან**, მთელი გულით მღერის“.

ეს გამოთქმები გამოიყენება არამართო რეპლიკა-რეაქციაში, არამედ მოსაუბრის გაბმულ საუბარშიც განსაკუთრებით ხაზგასასმელი მოქმედების გამოსაყოფად. მათი ადგილი წინადადებაში თავისუფალია. აღსანიშნავია, რომ სადაც აქტუალიზატორად ზმნა **ვთქვათ** გვხვდება, ის **შესაძლებლად მიჩნევის, დაფუშვით** შინაარსის მქონეა და მას უტოლდება: **ვთქვათ/დაფუშვით**, ორ მცირე ერს შორის წარმოიშვა კონფლიქტი; **ვთქვათ/დაფუშვით**, და მართო არ ყოფილიყავი?; **ვთქვათ/დაფუშვით**, შენ მართალი ხარ, მერე, რატომ შენ აღარ მუშაობ ქართული კულტურისათვის? ხოლო **მართალი რომ ვთქვა, სიმართლე რომ ვთქვა** ზმნური შესიტყვებები განზოგადებით ნათქვამის აქტუალიზებული ფორმებია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოხმობილი ფორმები ამგვარი ფუნქციით მხოლოდ პირველ პირში გამოიყენება (გარდა **რომ იტყვიან, კაცმა რომ თქვას** ზმნური შესიტყვებებისა. ისინი, პირიქით, ამ ფუნქციით პირველ პირში არ გამოიყენება).

მოყვანილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები იჩენს თავს. ინტონაციის ამგვარი ენობრივი აქტუალიზებით მქლავნდება მოსაუბრის ემოციური გამოხატულება თქმულისადმი.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

ცხოველთა სახელები სვანურ ტოპონიმებში

ტოპონიმთა შესწავლის მნიშვნელობა ენათა და დიალექტთა სტრუქტურის კვლევის საქმეში საყოველთაოდ ცნობილია.

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სვანურ ტოპონიმებზე, რომლებშიც წარმოდგენილია ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: **დაშდუ** „დათვი“, **თხერე** „მგელი“, **მალ** „მელა“, **ღუნ** „ხბო“, **ჩაჟ** „ცხენი“, **შდუგუ** „თაგვი“, **ციცუ** „კატა“, **კან** „ხარი“, **კალმას** „თევზი“ და სხვა.

ისინი გვხვდება როგორც დერივატებში, ისე ტოპონიმის აღმნიშვნელი შესიტყვებების შემადგენლობაში.

ა) დერივატები

ტოპონიმთა აღმნიშვნელ დერივატებში გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური და კონფიქსური წარმოება.

პრეფიქსური

ლა-კვლმახი ზედმიწ. „საკალმახო“ (ღელე)

ლა-ფურ ზედმიწ. „სასაქონლო, სამროხო“ (სათიბ-სამოვარი)

ლა-ღუნ ზედმიწ. „სახბორე“ (სამოვარი)

სუფიქსური

შდუგუ-**რა** ზედმიწ. „სათაგო“ (სამოვარი)

ციცუ-**ანი** ზედმიწ. „საკატე“ (ყანა)

დაშდულდ-**ში** ზედმიწ. „დათვუკასი“ (სათიბი)

პრეფიქს-სუფიქსური

ლა-მალ-**ა** ზედმიწ. „სამელიე“ (სამოვარი)

ლა-მალ-**ჟალ** ზედმიწ. „სამელიე“ (სათიბი)

ლა-ღუნუ-**არ** ზედმიწ. „სახბორეები“ (სამოვარი)

ბ) შესიტყვებები

ტოპონიმის აღმნიშვნელ შესიტყვებებში შეიძლება საქმე გვქონდეს როგორც მართვის ისე შეთანხმების ნიმუშებთან.

დაშტუ ლარა ზედმიწ. „დათვის ყანა“ (სათიბი)

ლაჩაჟა ნაკ ზედმიწ. „საცხენო ვაკე“ (სამოვარი)

ლაღუნარი ზუგ ზედმიწ. „სახბორე გორა“ (გორაკი)

თხერილშ ნაკ ზედმიწ. „მგლის ვაკე“ (სამოვარი მთა)
ლაკვლმწიშ ჭუედ ზედმიწ. „სათევზაო კედელი“ (სამოვარი)
ლახმწ ტუიბ ზედმიწ. „ლორების ტბა“ (ხევი)

ტოპონიმთა წარმოებისას ხდება რიგი ფონეტიკური ცვლილებები, რასაც მოხსენებაში შევხებით.

ლინდა გიორგაძე, ლია ქაროსანიძე,
ლალი ხუჭუა

ქართულ საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონი

ქართულ საეკლესიო ტერმინთა ლექსიკონის მასალებზე მუშაობა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონის გამოცემა უფრო ადრეც იგეგმებოდა გორისა და ატენის მიტროპოლიტის – მეუფე ანდრია გვაზავას – კურთხევითა და მონაწილეობით, თუმცა საქმე შეფერხდა იმის გამო, რომ არ არსებობს საეკლესიო ტერმინთა სხვადასხვა თემატური ჯგუფის (როგორებიცაა, მაგალითად, შესამოსლის, საეკლესიო ნივთების, ლიტურგიკული წიგნებისა თუ საგალობლების) შესახებ გამოკვლევები. ქართულ საეკლესიო ტერმინთა უძველესი წარმომავლობის შესწავლა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. მათ საკვლევად რამდენიმე ენის მონაცემის გამოყენებაა საჭირო, თუმცა ხშირად ზოგი ტერმინის ეტიმოლოგიის დადგენა მაინც ჭირს. ამასთანავე რთულია ქართულში თანამედროვე მნიშვნელობის დადგენა, რადგან ერთია და იგივე ტერმინი სხვადასხვაგვარადაა დამკვიდრებული.

ქართული სასულიერო შესამოსლისა და მისი შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინთა ისტორია ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანი და სიღრმისეულად საკვლევი. ქართულ ლექსიკონრაფიაში ამ სივარდილის ამოვსების საჭიროება დღეს მწვავედ დგას.

ბედენიკი შესამოსლის ნაწილია, რომელსაც დღეს ქართველი სამღვდლოება აღარ იყენებს. მოხსენებაში განვიხილავთ საქართველოში მისი შემოსვლის ისტორიას, ასევე სიტყვა „Набедренник“-ის

ქართულ ვარიანტებს, მაგალითად, თუკი ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში ტერმინი **ნაბედრენიკი** დასტურდება, უფრო გვიანდელ წყაროებში (მაგ. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძის „მოქალაქე მღვდლის დღიურიდან“...) ეს სიტყვა **ბედენიკის** ფორმით გვხვდება. საინტერესო და საკვლევეია ამ ტრანსფორმაციის ქრონოლოგიაც.

ასევე საინტერესოა ტერმინ **კუნკულის** ისტორია, რომლის შესახებ გარკვეული თვალსაზრისები უკვე გამოთქმული გვაქვს (იხ. მეუფე ანდრია, ღია ქაროსანიძე, კუნკულ-ბარტყულის შესახებ“. – ჟურნალი „მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორიისათვის“), თუმცა მისი კვლევა ისევ გრძელდება. მოხსენებაში ვიმსჯელებთ *ყაბალახისა და კუნკულის* ურთიერთმიმართების შესახებ.

ჩვენს მოხსენებებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საეკლესიო ტერმინთა ასახვის თვალსაზრისით განსაკუთრებული სიუხვით მეცხრამეტე საუკუნის ლექსიკოგრაფთა (ნიკო და დავით ჩუბინაშვილების) ნამუშევრები გამოირჩევა. საინტერესოა ის, რომ ჩუბინაშვილები საილუსტრაციო მასალად ბიბლიურ წიგნებსა და სხვა სასულიერო ლიტერატურიდან მოიხმობენ კონტექსტებს. საეკლესიო ტერმინთა ახალ ლექსიკონშიც ვფიქრობთ ამ პრინციპის გათვალისწინებას. ლექსიკონში ინგლისური და ბერძნულენოვანი კონტექსტები და შესატყვისებიც შევა.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

გრძელი ხმოვნების საკითხისათვის თუშურ დიალექტში

ქართული ენის დიალექტთაგან გრძელი ხმოვნები (ა, ე, ო, უ) დასტურდება აჭარულსა და თუშურში. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ზმნისწინისეული ხმოვნისა და ზმნის ხმოვანპრეფიქსის შეხვედრისას წარმოქმნილი გრძელი ხმოვნები თუშურში.

ფაქტია, თუშურში ზმნისწინისეული ხმოვნის ზმნის ხმოვანპრეფიქსთან უშუალო შეხვედრისას ყველა შემთხვევაში ვიღებთ გრძელ ხმოვანს მაგარი დამართვით: **აფ, ეფ, ოფ, უფ**. კომპლექსის

მოსალოდნელი პირველი კომპონენტი (ზმნისწინისეული ხმოვნები ა, ე, ო) გაუჩინარებულია. ჩვეულებრივ მიიჩნევენ, „გრძელი ხმოვანი თუშურში შედეგია ორი ხმოვნის შერწყმისა. შერწყმის ერთმანეთს ან ერთნაირი ხმოვნები, ან ასიმილაციის შედეგად დამსგავსებული ხმოვნები“ (თ. უთურგაიძე). ეს თვალსაზრისი სათავეს შ. ძიძიგურის ნაშრომიდან იღებს; ეს შეხედულება საყოველთაოდაა გაზიარებული.

საკითხზე მსჯელობისათვის განსახილველ ხმოვანკომპლექსებს სამად დავაჯგუფებთ:

(I) იდენტური ხმოვნები: **აა** > აჲ; **ეე** > ეჲ; **ოო** > ოჲ.

(II) ფართო + ვიწრო: **აუ** > აუჲ; **აი** > აიჲ...

(III) ვიწრო + ფართო: **ოა** > აჲ; **ეა** > აჲ.

არაიდენტურ ხმოვანთა შემთხვევაში – (II) და (III) ჯგუფი – ივარაუდება ასიმილაციის გზით იდენტურ ხმოვანთა კომპლექსის მიღება და შემდეგ შერწყმა.

ამთავითვე შევნიშნავთ: რა თქმა უნდა, ამგვარი ახსნა შესაძლებელია, **თუ თითოეულ შემთხვევას (პროცესს) განვიხილავთ ქართული ენის ხმოვანთა სისტემაში მიმდინარე ზოგადი პროცესებისაგან იზოლირებულად**; მაგრამ, თუ ხმოვანთა კომპლექსების ზოგად კანონზომიერებებს გავითვალისწინებთ, მეორე და მესამე ჯგუფის შემთხვევაში ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ მოგვეცემა.

მსჯელობას განვაგრძობთ მესამე რიგის შემთხვევათა ანალიზით. თ. უთურგაიძე თვლის, რომ აქ ხდება ასიმილაციით მიღებული იდენტური ხმოვნების შერწყმა:

ოა > ***აა** > აჲ : მწჷ წვდენს (< მოაწვდენს);

ეა > ***აა** > აჲ : შწჷგდო (< შეაგდო).

გავიხსენოთ შ. ძიძიგურის მიერ დადგენილი ზოგადი კანონზომიერება – ქართულ დიალექტებსა და ზანურში ხმოვანკომპლექსებში მიმდინარე პროცესი რეგრესულ გავლენაზეა დამყარებული; ასიმილაცია-დისიმილაციის გზით კომპლექსი მიისწრაფვის დიფთონგიზაციისაკენ ან შერწყმისაკენ.

ეს ზოგად წესი შეიძლება დაკონკრეტდეს: ყველა კომპლექსის შემთხვევაში ცვლილების დროს **ხდება პირველი კომპონენტის მხოლოდ დავიწროება** (გ. გოგოლაშვილი). ამ ზოგად კანონზომიერებას დაარღვევს თუშურის მონაცემთა (III ჯგუფი) ასეთი ახსნა – (ოა > *აა > აჲ; ეა > *აა > აჲ) : ამგვარი გააზრებით **ხდება პირველი კომპონენტის გაფართოება**.

როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებში ეს კომპლექსები რეალურად ასეთ ცვლილებას განიცდის:

ია > ია > ია : შეაქვს > შიაქვს > შიაქვს... (გავიხსენოთ: თეატრი > თიატრი, ქრისტეანი > ქრისტიანი...)

ია > ია > **ია**: მოაქვს > მუაქვს... (გავიხსენოთ: ვანუა, მიტუა...).

ზოგადი კანონზომიერებისა და აქ წარმოდგენილი რეალური ვითარების გათვალისწინებით თუშურში **ია** და **ია** კომპლექსებში ***ია** საფეხურის აღდგენა **პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართულში მოქმედ ზოგად კანონზომიერებას**.

ანუ: თუშურში **ია**- და **ია**- ზმნისწინთა შემთხვევაში **ია** შუალედური საფეხურის დაშვების არანაირი საფუძველი არ არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ თუშურშიც იგივე პროცესი ხდება, რაც სხვა დიალექტებში: **ია > ია; ია > ია**.

ეს პროცესი ზოგადად მიმართულია დიფთონგიზაციისა და კომპლექსის გამარტივებისაკენ. გამარტივება ხდება პირველი კომპონენტის დაკარგვის ხარჯზე. პირველი კომპონენტის დაკარგვა იწვევს მეორე კომპონენტის დაგრძელებას – **ესაა საკომპენსაციო სიგრძე**:

ია > (*ია >) **ია**. ია > (*ია >) **ია**.

კითხვა დაისმის: შუალედური საფეხურის აღდგენა რამდენადაა მართებული ან შესაძლებელი?

ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ (II) რიგის კომპლექსების განხილვის შემდეგ. ვითარება ასეთია: **ია > ია; ია > ია**... თუშურში ამ კომპლექსთა ცვლილების მხოლოდ ბოლო საფეხურია წარმოდგენილი; საწყისი და შუალედური საფეხურები ამ დიალექტში არ დასტურდება. ფაქტობრივ, ქართულში ამ კომპლექსებში მიმდინარე სისტემური ცვლილებების გათვალისწინება არ გვამძლევეს შესაძლებლობას თუშურში შუალედური საფეხურების დაშვებისას:

ჩვენი აზრით, ქართულ დიალექტებში შეინიშნება ასეთი კანონზომიერება: **ხმოვანთა სამკუთხედზე ორი საფეხურით დაშორებულ ხმოვანთა შორის A რიგის კომპლექსებში ასიმილაცია ხდება მხოლოდ დასავლურ დიალექტებში, აღმოსავლურში – არა**:

ია > ია > ია > ია (> ია): დაუძახა > დოუძახა > დუუძახა > დუუძახა (> დუძახა);

აი > ეი > იი > ო (> ი): წაილო > წეილო > წიილო > წრლო > (წილო)..."

აღმოსავლურ დიალექტებში (თუშურის გარდა) დასტურდება მხოლოდ პირველი საფეხური (ამოსავალი ვითარება), ყველა დანარჩენი საფეხური – დასავლურის სხვადასხვა დიალექტშია დამოწმებული...

რაც შეეხება თუშურის შემთხვევას, აქ მხოლოდ გრძელი უ არის დამოწმებული ზმნისწინისეული ხმოვნის უ პრეფიქსთან შეხვედრისას: დუჟმახ... ს

საერთოდ კი, თუშურში აუ კომპლექსის განვითარების ყველა საფეხური უნდა ვივარაუდოთ? ვფიქრობ, არა:

საინტერესო მასალას გვაძლევს ხევსურული დიალექტი; დასტურდება ასეთი ფორმები: ჩამუდგამ, ჩამურიგებ. ა. ჭინჭარაულის აზრით: „ჩამა ზმნისწინისეული ბოლო ა სასხვისო ქცევის უ-ს წინ მოხვედრისას ჩავარდება ხოლმე: ჩამუდგამ (< ჩამაუდგამ < ჩამავუდგამ), ჩამურიგებ (< ჩამაურიგებ < ჩამავურიგებ)“ .

ხმოვნის ჩავარდნა – კომპლექსის გამარტივება პირველი კომპონენტის დაკარგვით, მოკვეციტ – აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელ მოვლენაა (ბ. ჯორბენაძე). ანუ: დაუშვებელი ხმოვანკომპლექსის გამარტივება ხდება პირველი კომპონენტის ჩავარდნის (დაკარგვის, მოკვეცის) გზით... იგივე პროცესი უნდა ვივარაუდოთ თუშურისათვისაც; ანუ: აუ > უ, აი > ი – პირველი კომპონენტის დაკარგვის (მოკვეცის) გზით. ხევსურულში პროცესი აქ ჩერდება; **თუშურში დაკარგული პირველი კომპონენტის კომპენსაცია ხდება მეორე კომპონენტის დაგრძელებით** (და მაგარი შემართვით): აუ > აუგ; აი > იგ. პროცესის ასეთი გააზრება თუშური დიალექტის ფაქტებს ზოგადი კანონზომიერების ფარგლებში მოაქცევს...

საკითხის დასმის წესით: თუშურში გრძელი ხმოვნების მიღების გზად დაუშვებელი ხმოვანკომპლექსის გამარტივება ხომ არ უნდა ვივარაუდოთ იდენტურ ხმოვანკომპლექსთა შემთხვევაშიც (აა > ა > ა; ეე > ე > ე; იი > ი > ი...)? ანუ: ხომ არ უნდა გამოვრიცხოთ ასიმილაცია-დისიმილაცია-შერწყმის პროცესი და ყველა შემთხვევაში ხომ არ უნდა დავუშვათ ხმოვანკომპლექსის პირველი კომპონენტის ჩავარდნა?... ასეთი ვარაუდის დაშვებას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ისიც, რომ სახეზეა მხოლოდ შედეგი – გრძელი ხმოვანი...

და კიდევ: ჩვენი ვარაუდით, აჭარულსა და თუშურში გრძელი ხმოვნები სხვადასხვა გზითაა მიღებული: აჭარულში – იდენტურ ხმოვანთა შერწყმით; თუშურში სიგრძე დაკარგული ხმოვნის კომპენსაციაა. პროცესთა ამგვარი გააზრება ორივე დიალექტის მონაცემებს ქართულ დიალექტებში მოქმედი ზოგადი კანონზომიერების ფარგლებში მოაქცევს.

თ ა მ ა რ გ უ ჩ უ ა

სამეტყველო მოვლენები და სამეტყველო აქტები კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მიხედვით

წლების მანძილზე ეთნოგრაფიული მასალების დაგროვებამ და ადამიანთა სამეტყველო პრაქტიკაზე დაკვირვებამ ახალი კითხვები გააჩინა კომუნიკაციის პროცესის გარშემო. ლინგვისტებმა ყურადღების მიქცევა დაიწყეს ენის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებაზე და შენიშნეს, რომ ენის შინაგანი სტრუქტურის ასპექტები არ მოიცავს ყველა იმ წესს, რითაც მეტყველება რეგულირდება. ის, თუ რა ითქმის კონკრეტულ სიტუაციაში, როგორ ხდება სათქმელის ფორმულირება და არავერბალურ ნიშნებთან მისი დაკავშირება, უბრალოდ თავისუფალი ინდივიდუალური არჩევანი არ არის. მასზე ისევე მოქმედებს სოციალური შეზღუდვები, როგორც გრამატიკული.

მიუხედავად იმისა, რომ ენის ფუნქციონირების პრობლემა კარგა ხნის მანძილზე იყო დისკუსიის საგანი, საკითხის ინტეგრირება ენისა და საზოგადოების ზოგად თეორიებში შედარებით გვიან, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. 1964 წელს ამერიკის ანთროპოლოგიური ასოციაციის წამყვან ჟურნალში – „ამერიკელი ანთროპოლოგი“ დელ ჰაიმზის ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაცია (Hymes, D. H. Introduction: Toward Ethnographies of Communication. *American Anthropologist*, Vol. 66, No. 6, Part 2: The Ethnography of Communication. Wiley, 1964; pp. 1-34) ამგვარ პრობლემებზე ორიენტირებული შრომის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, სადაც კომუნიკაციის ეთნოგრაფიის თეორიული მიზანი საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნების გარშემოა ფორმულირებული: რა უნდა

იცოდეს მოლაპარაკემ ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად? საკომუნიკაციო კომპეტენცია – ესაა კომუნიკაციის უნარების მთელი კომპლექსი, რომელიც სოციალური გამოცდილებით მიიღწევა. ენის გამოყენების ნორმების ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გრამატიკული წესების ცოდნა.

ჩვენი მიზანია, სოციალური უთანასწორობის ამსახველ სამეტყველო მოვლენათა წარმოდგენა და განხილვა კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში. კვლევის ემპირიულ ბაზად გამოვიყენებთ ქართულ ეთნოგრაფიულ და მოგზაურობის ჟანრის მასალებს. მოხსენების სტრუქტურა ამგვარად იქნება წარმოდგენილი: 1. კომუნიკაციის ეთნოგრაფიის, როგორც კვლევითი მიმართულების, მოკლე მიმოხილვა; 2. საკვანძო ერთეულების გამოყოფა; 3. სამეტყველო მოვლენის ანალიზი კომპონენტების მიხედვით; 4. შესრულებითი გამონათქვამის ჩვენება; 5. სამეტყველო მოვლენის ფარგლებში დადასტურებული არავერბალური ქცევის განხილვა.

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

III პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა პარადიგმები თანამედროვე ქართულში

მოხსენებაში ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ბრუნებისა და თანდებულისიან (შერწყმულთანდებულისიან) ფორმათა პარადიგმებს III პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის.

ცალკე ვიმსჯელებთ „იგი“ ნაცვალსახელის მოქმედებით ბრუნვის ფორმის შესახებ. როგორც ცნობილია, „იგი“ ნაცვალსახელის პარადიგმაში მოქმედებით ბრუნვის ფორმად წარმოდგენილია „მით“ (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე და სხვ.). ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართულში ეს ფორმა გამოიყენება მხოლოდ შეზღუდულ კონტექსტებში. ილიას უნივერსიტეტის „ქართული ენის კორპუსში“ „მით“ ფორმის 1872 შემთხვევა დადასტურდა და პრაქტიკულად ყველგან დასტურდება შესიტყვებებში: „მით უფრო“ „მით უმეტეს“ და „მით უარესი“. „იგი“ ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმის ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე ფორმა „მისით, რომელიც სულ უფ-

რო ფართოდ ვრცელდება: მისით სულდგმულობდნენ ოჯახებში (რ. თვარაძე); აღფრთოვანებული ვიყავით მისით (ო. ფამუქი); შიში გამიჩნდა, მერე მისით დავინტერესდი (ო. ფამუქი) და სხვ.

ჩვენი აზრით, „იგი“ ნაცვალსახელის პარადიგმაში, მოქმედებით ბრუნვაში, „მით“ ფორმის პარალელურ ვარიანტად უნდა შევიტანოთ „მისით“. III პირის ნაცვალსახელის პარადიგმა ამგვარ სახეს მიიღებს:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	იგი	იგინი
მოთხ.	მა-ნ	მათ
მიც.	მა-ს	მათ
ნათ.	მ-ის	მათ
მოქ.	მ-ით//მის-ით	–
ვით.	–	–
წოდ.	–	–

რ ა დ ო ს ლ ა ვ კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი

ქართული და იბერიულ-კავკასიური რიცხვითი სახელები შედარებითი თვალსაზრისით

ქართულ / ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ რიცხვით სახელთა ნათესაობა საჭიროებს სიღრმისეულ განხილვას. ამ საკითხს აქვს განსაკუთრებითი მნიშვნელობა იმის გათვალისწინებით, რომ რიცხვითი სახელები ძირეული ლექსიკური ფონდის ნაწილს წარმოადგენს.

ერთი: ქართ. ცალ-ი. თუ ივარაუდება, რომ სიტყვა იყოფა: ცა-ლ-ი < *ცა-ალ-ი, სადაც: -ალ- სუფიქს-დეტერმინანტს წარმოადგენს, მაშინ ძირია: ცა- < *ცა-, რაც უკავშირდება აფხ. ა-ძ^ე „ერთი“, ძირი: -ძ^ე < *ძა < *ცა. დელაბიალიზებული ძირეული თანხმოდანი დასტურდება დადესტნურ ენებშიც, მაგ.: ლეზგ. სა-დ, ძირი: სა- < *ცა- < *ცა-.

აქედან გამომდინარე ს. იბერიულ-კავკასიური ძირი აღსადგენია: *ცა-.

ორი: ქართ. წყვილი. თუ ივარაუდება, რომ სიტყვა იყოფა: წ-ყვ-ილ-ი, სადაც ძირია -ყვ- < *ყვი- < *ყ'ი- / *ყ'ა-, მაშინ სათანადო ძირი დამოწმებულია მთის კავკასიურ ენებშიც: „ორი“ / „ოცი“ მნიშვნელობით, მაგ.: უბიხ. ტ-ყა; თაბ. ყუ-ხ, ძირი: ყუ- < *ყუ- < *ყ'უ- < *ყ'ი- / *ყ'ა- „ორი“; უდ. ყა < *ყ'ი / *ყ'ა „ოცი“. ამის საფუძველზე ს. იბერიულ-კავკასიური ძირი აღსადგენია: *ყ'ი- / *ყ'ა- „ორი“ / „ოცი“.

სამი: თუ ივარაუდება, რომ ეს სიტყვა იყოფა: სა-მ-ი, სადაც -მ- გაქვავებული კლას-ნიშანია და ანლაუტური სა- < *ს'ა- < *ლ'ა- ძირს წარმოადგენს, მაშინ ქართული ძირი შესადარებელია მთის კავკასიურ ენათა შესატყვის ძირებთან, მაგ.: ახვ. ლ'ა-და; ლაკ. შა-მა, ძირი: შა- < *შ'ა- < *ს'ა- < *ლ'ა-; უბიხ. ს'ა < *ს'ა < *ლ'ა. როგორც ვხედავთ, იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში ძირი აღდგება: *ლ'ა-.

ოთხი / ხუთი: შესაძლებელია, რომ ორივე რიცხვითი სახელი დამყარებულია საერთო ძირზე, თუ მიიღება, რომ ისინი იყოფა: ო-თ-ხ-ი / ხუ-თ-ი, სადაც ძირეული მორფემაა:

-ხ- < *ხი- < *ხ'ი- / ხუ- < *ხ'უ- < *ხ'ი- და წინანდელი ან მომდევნო დენტალური თანხმოვანი: თ- / -თ ამოსავალი კლას-ნიშანია. მთის კავკასიურ ენებში განხილული ძირი დამოწმებულია მნიშვნელობით „ხუთი“, მაგ.: ხინ. ფ-ხუ, ძირი: -ხუ < *ხ'უ < *ხ'ი; ყაბ. თ-ხ'გ, ძირი: -ხ'გ < *ხ'ი. აქედან გამომდინარე ს. იბერიულ-კავკასიური ძირი აღსადგენია: *ხ'ი- „ხუთი“.

შვიდი: თუ მისაღებია, რომ სიტყვა იყოფა: შვი-დ-ი, სადაც კბილისძიერი თანხმოვანი -დ- გაქვავებული კლას-ნიშანია, მაშინ ნომინალური ძირია: შვი- < *შ'ი-.

თუ ვივარაუდებთ, რომ ქართველური ძირეული შიშინა სპირანტი გამომდინარეობს ლატერალური აფრიკატისაგან: *შ'ი- < *ლ'ი- < *ლ'ი- < *ალ'ი-, მაშინ აქ განხილული ძირი შესადარებელია მთის კავკასიურ ენათა შესატყვის ძირებთან, მაგ.: ახვ. ალ'უ-და, ძირი: ალ'უ- < *ალ'უ- < *ალ'ი-; აფხ. ზჟ-ზა, ზჟ = ზ-ჟ, ძირი: -ჟ- < *ჟ'ი- < *შ'ი- < *ლ'ი- < *ლ'ი- < *ალ'ი-. ამის საფუძველზე ძირი: *ალ'ი- „შვიდი“ რეკონსტრუირდება იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში.

ცხრა: ქართული რიცხვითი სახელი უნდა გამომდინარეობდეს: ცხრა < *ცხარა, როგორც მიუთითებს მონათესავე მეგრ. ჩხორო <

***ჩხარა** < ***ცხარა** და ეს უკანასკნელი უნდა იყოს აღდგენილი საერთო ქართველურ ფუძე-ენაში. თუ ივარაუდება, რომ ეს სიტყვა იყოფა: ***ცხარა** = ***ცხა-რა**, სადაც ბოლოკიდური მარცვალი ამოსავალი კლასნიშანია, მაშინ თავკიდური: ***ცხა-** ძირეული ნაწილია. თუ მიიღება ძირის ადრინდელი ბგერითი განვითარება: ***ცხა-** < ***ცჰა-** < ***წჰა-** < ***წა-ჰა-** < ***ჰაწა-** < ***ჰაწა-** < ***აწა-** < ***აწო-**, მაშინ აქ შესწავლილი ძირი შეედარება დადესტნურ ენათა შესატყვის ძირებს, მაგ.: ლოდ. **ჰ-აჰი-და**, ძირი: **-აჰი-** < ***-აჰო-** < ***-აწო-**; არჩ. **უჰ** < ***უჰი** < ***უჰი** < ***აჰი** < ***აწი**; ბაგ. **ის** < ***ისსი** < **(*ისსი)** < ***იწი** < ***იწი** < ***აწი**.

განხილული სიტყვა მიეკუთვნის შებრუნებული წყობის ძირ-ფუძეთა ჯგუფს. ფონეტიკური ცვლილებები ქართულში ფონოტაქტიკურად შეპირობებულია.

ათი: თუ მიიღება, რომ ქართული / ქართველური ძირი გამომდინარეობს: **ათ-** < ***ათი-** < ***ატი-** < ***აჰი-** < ***აჰი-** < ***აწი-**, ასეთ შემთხვევაში განხილული ძირი შეიძლება იყოს შედარებული მთის კავკასიურ ენათა შესატყვისებთან, მაგ.: ბეჟ. **აწო-ნა**, ძირი:

აწო- < ***აწო-** < ***აწა-** < ***აწი-**; ჩერქ. **ჰ-ს'გ**, ძირი: **-ს'გ** < ***-ს'ი** < ***-ს'ი** < ***-ს'ი** < ***-წი** < ***-აწი**.

შედარებით მონაცემებზე დაყრდნობით საერთო „ცხრის“ / „ათის“ აღმნიშვნელი ძირი შეიძლება იყოს პოსტულირებული იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში: ***-აწი-**.

მისი სემანტიკური და ფონეტიკური განსხვავება გვიანდელი განვითარებაა.

ასი: შესწავლილი ძირი მიეკუთვნის შებრუნებული წყობის ძირებს, აქედან: **ას-** < ***სა-**.

ძირი დასტურდება მთის კავკასიურ ენებშიც, მაგ.: ხუნძ. **ნუს-გო** = **ნ-უს-** < ***სუ-ნ-** < ***სუ-ნ-** < ***სა-ნ** < ***სა-ნო**; ანდ. **ბე-შანო-და** = **-შა-ნო-** < ***შა-ნო-** < ***სა-ნო-**, სადაც

მორფემები **-ნ-** / **-ნო-** უნდა იყოს მიჩნეული ამოსავალ კლასნიშნად.

განხილული ძირის უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ფორმა აღსადგენია: ***სა-**. ენათა უმეტესობაში ძირეული თანხმოვნის ლაბიალური კონტაქტულაცია გაუჩინარდა, თუმცა მისი კვალი შემონახულია აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში, მაგ.: აფხ. **შ'-კვ**, ძირი: **შ'** < ***შა-** < ***სა-**; უბიხ. **შა** < ***სა**.

მოყვანილი შედარებითი მონაცემები დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ ქართული / ქართველური რიცხვითი სახელები საერთო იბერიულ-კავკასიური ენობრივი მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

აკა მორჩილადის სტილის ზოგი თავისებურებისათვის („შენი თავგადასავალი“)

აკა მორჩილადის (გიორგი ახვლედიანის) რომანი „შენი თავგადასავალი“ მეგობრის მიერ მონათხრობი ამბის საფუძველზეა შექმნილი.

მწერალი წიგნის შესახებ შენიშნავს: „...რაც კი რამ ალუზია გამჩენია ცხოვრებაში, ყველა ამ წიგნში ჩაეტია და მგონია, რომ რისი მოთხრობაც მინდოდა და როგორც მინდოდა, ისე გამოვიდაო“.

რომანში ვხვდებით ნაწყვეტებს ქართული პოეზიიდან, რომლებსაც მწერალი თავისებურად გადაკეთებული სახით გვთავაზობს. მაგალითად, ერთ-ერთია იოსებ გრიშაშვილის ლექსის პწკარები: „ეჰ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს, თავის დუქანთან მიბმული ყოჩით...“ , რომელიც მწერალმა ასე წარმოგვიდგინა: „ეჰ, სადღა ნახავ ელამ ბაბუას, გულისფიცარზე მიკიდულ მედლით...“.

ხშირად აკა მორჩილამე ორი პოეტის ლექსების ტაეპებს აერთიანებს. გაერთიანებულია მუხრან მაჭავარიანისა და მურმან ლებანიძის ლექსთა სტრიქონები: „უფლისციხესთან სისიხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“ .

გვხვდება ორი სხვადასხვა ლექსის წყვილ-წყვილი სტრიქონები. პირველი ორი სტრიქონი ახალგაზრდა სტალინისაა, ხოლო მომდევნო ორი – აკაკი წერეთლისა: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადაჰხვეოდა იასა, მდინარეც ნანას უმღერის, რაინდსა ურჩსა მტრისასა“.

მწერალმა გ. ტაბიძის ერთ-ერთი ცნობილი ლექსის ტაეპები ასე წარმოგვიდგინა: „მანც არ მასვენებს მწარე სინანული, რომელი ქალაქია, რომელი ქალაქია...“.

ილიას სტრიქონებს კი – „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში, რასაც ვმსახურებთ, კვლავ ერთგულად მას ვემსახუროთ“, ასე ცვლის: „ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში, შენ ხომ ატნაშენია გიყვარდა...“.

თანამედროვე სასაუბრო მეტყველების წარმოსაჩენად მწერალი ხშირად მიმართავს ინგლისურიდან შემოსულ ლექსიკურ ერთეულებს („ბარბარიზმებს“):

ლანჩი (Lunch ინგლ. „საუზმის შემდგომ საჭმელი“, „ხემსი“): „ფოსტალიონები იყვნენ, თავისთვის **ლანჩობას** თუ აპირებდნენ“; **დისქაუნტი (Discount** ინგლ. „ფასდაკლება“): „მეტი რაღა **დისქაუნტი** გინდა?“, **ლაითი (Light** ინგლ. „მსუბუქი“): „არ მოწევ რამეს ეგეთ, **ლაით** ამბავში?“, **ჰოლი (ინგლ. Hall** „შემოსასვლელი“, „დერეფანი“): „დედა დაბნეული იყო, ისევ **ჰოლში** იდგა“, **ოკეი (Okey** „კარგი“): „**ო კეი** – მკითხა ტიმოთიმ, ჩვენ ტყეში წავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ“; **ჰეფი ენდი (Happy end** ინგლ. „ბედნიერი დასასრული“): „ყველაფერი რომ ეგრე იყოს, ოღონდ, **ჰეფი ენდის** გარეშე“; **რეფიუჯი (Refugee** ინგლ. „ლტოლვილი“): „შენო, რაო, **რეფიუჯი** ხარო?“ ...

ერთგან გამოყენებულია რუსულიდან შემოსული ბარბარიზმი **დავერბოება** (შდრ.: რუს. вербовать), რაც საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობას ნიშნავს: „ჩვენთვის ის იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ შენი **დავეროება** მომეხდინა, თორემ ისაევი გმირიც კია“ .

პერსონაჟები მწერალმა ჟარგონებითაც აამეტყველა, მაგ.: **გაქაჩა**: „მიზეზი მარტივია, ტვინმა ვერ **გაქაჩა**“; **ჩაგვეფინა**: „ – ხომ არ **ჩაგვეფინა**? – რა გაძლება აქვს, – თითო დასაჭტყანი“; **გაგმაზავ**: „წავალ და **გაგმაზავ**... ჯვარი კი არ დამიწერია შენზე“; **აჩითვინებს**: „დგას „ლედბორკის“ კანტორაში და მსოფლიოს გუშინდელი დოდების ტელეტექსტებს **აჩითვინებს**...“; **ავითესები**: „მერე კვალს ავურევ და დავაი, **ავითესები** – მეთქი“ ...

რომანში დასტურდება დიალექტური ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად არის მიღებული და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. მაგ.: „**დაგიჭყლიტამ** ერთხელ მაგ სუნსა, – უთხრა შვილმა“; „– ბიჭო, რა ატანტალებ ენასა, არ იცი, **რისთვის ვზომამთ**? ხვალინდელ **დღისთვის**“ ; „**მაგენს** დამბაჩები აქვთ დამალული ბუზგალტერში“; „**თღათ** ღვთის პირიდან გადავარდნილები ყოფილან ეგ კაცები, ჩემო **იმანო**, – აღმოხდა მია ბერტს“ ...

მკითხველის ყურადღებას იქცევს მწერლის მიერ შექმნილი ლექსიკური ერთეულები (ნასახელარი ზმნა თუ წინავითარების სახელი). მაგ.: „ის ყვითელი ნისლი, ადრე რომ **მომეშერლოკპოლმსა** ჩემს სახლში...“; „ათიოდე ამგვარი ბელურა და სამი-ოთხი ტყვია ჩემს **ნაოთახარში** შემოვიდა და კინაღამ ოხრად დამარჩინა მე“ და სხვა.

ნაწარმოებში გვხვდება ინგლისურ-ქართული (ჰიბრიდული) კომპოზიტები. (კომპოზიტის პირველ კომპონენტად გამოყენებულია ინგლისური სიტყვა **სუპერ** (ზედსართავი სახელი), მეორე კომპონენტი კი ქართული სიტყვაა – არსებითი სახელი): „იფ, რა მოხუცია? **სუპერმოხუცი**“; „ჩემს წინ იჯდა და უცებ ვიფიქრე, რომ იმ წყეულმა **სუპერაჩრდილმა**, ჟენი ფონ ვესტვალენის ქმარმა, სწორედ ამ ავ და უცნაურ სარდლად აქცია სემი...“.

საყურადღებოა ნაწარმოებში დასახელებული სადექი რეზინის, კვების პროდუქტის, სიგარეტებისა თუ სასმელების სახელწოდებები: **ბუბლეგუმ** – სადექი რეზინი, რომელიც კარგად იბერება; **მეიფიარი** – ინგლისური სიგარეტი; **კოლხეთი** – ქართული სიგარეტის სახელწოდება; **ოლა** – ესპანური ხორცი; **ჩ(შ)ივას რიგალი** – შოტლანდიური ვისკი; **ლიბელს დოკი** – კოქტეილის სახელი და ა. შ.

აკა მორჩილამე ნაწარმოებში ხშირად ასახელებს – ქალაქების, ქუჩების, მდინარეების, პროვინციებისა თუ კუნძულების სახელწოდებებს და სათანადო განმარტებასაც ურთავს (წიგნის ბოლოს). მაგ.: **ნიუპორტი** ქალაქია უელსში; **ულან-უდე, პერმი, ჩიტა** რუსეთის ქალაქებია; **კისლოვოდსკი** მინერალური წყლებით განთქმული კურორტია რუსეთში; რუსეთშივეა ქალაქები – **ზულინოგრადი, ჩელია-ბინსკი; ბუშნარკეტი** არის ბაზრობა სეფერდს ბუშის ბადის ახლოს; ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამოჩრილი კუნძულების სახელწოდებაა **ჯერსის** კუნძულები; **ისლინგტონი** ადგილია ჩრდილოეთ ლონდონში. **ლა როხა** არის არგენტინული პროვინცია; **ჟუჟუი** მდინარეა არგენტინაში, ხოლო **სანტა-კრუსი** – ადგილი არგენტინაში და მრავალი სხვა.

რომანში ასევე ვხვდებით ამონარიდებს სხვა მწერლების პროზაული ნაწარმოებებიდან და ფილმებიდან...

უდიური დამწერლობის შემუშავების მცდელობათა შესახებ

უძველესი დამწერლობის მქონე კავკასიის ალბანურის შთამომავალი – უდიური – დღემდე მიიჩნევა უმწერლობო ენად. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია პრაქტიკული ორთოგრაფიის შემუშავების რამდენიმე მცდელობა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კრებულში «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» («СМОМПК») გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია უდიური ენის შესახებ. 1888 წელს მიხეილ ბეჟანოვმა (უდია ვართაშენიდან) გამოსცა უდიური ზღაპარი „რუსტამი“, ხოლო 1902 წელს დაიბეჭდა ოთხთავი უდიურ ენაზე, რომელიც თარგმნა მისმა ძმამ – სიმონ ბეჟანოვმა. ამ გამოცემებში გამოყენებულია კირილიცაზე დაფუძნებული ტრანსკრიფცია, რომელსაც დამატებული აქვს რამდენიმე ლათინური ასო-ბგერა (*h, i, k*) და სპეციფიკური ნიშანი (*ჟ, ჯ, ზ* და სხვ.).

XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მიზანი იყო უდიური დამწერლობის შემუშავება. 1934 წელს ამ კომისიის წევრებმა ფიოდორ და მიხეილ ჯეირანებმა ქ. სოხუმში გამოსცეს პირველი უდიური საკითხავი-საანბანო წიგნი «*Samci das*» (სამჯი დჰს „პირველი გაკვეთილი“). კომისიის მიერ მიღებული ანბანი, რომელიც გამოყენებულია ამ სახელმძღვანელოში, ეფუძნება ლათინურ გრაფიკას. მასში გვხვდება იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები (*q, h, z, r* და სხვ.) და რამდენიმე დიგრაფი (მაგ., *ha, ho, dz, dz*). ამ საანბანო წიგნით მიმდინარეობდა უდიური ენის ხანმოკლე სწავლება სოფ. ზინობიანში.

1992 წლიდან დაიწყო უდიური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მეორე ცდა. იმ წელს ქ. ბაქოში გამოქვეყნდა უდიური ენის დაწყებით კლასებში სწავლების პროგრამის პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ სოფ. ნიჯის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი გეორგი კეჩარაი და აზერბაიჯანის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იური აილინოვი.

ამ პროექტით განზრახული იყო სწავლებისთვის გამოყენებით-ნათ ვ. გუკასიანის მიერ სლავური გრაფიკის (კირილიცას) საფუძველზე შემუშავებული ანბანი (ტრანსკრიფცია). ამ ანბანით 1996 წელს გამოქვეყნდა გ. კეჩარის მიერ შედგენილი კრებული „ნანა ოჩალ“ („სამშობლო“, „მშობლიური მხარე“; ზედმიწ. დედის მიწა), რომელიც მოიცავს რამდენიმე ავტორის ლექსებსა და მოთხრობებს უდიურ ენაზე.

მოგვიანებით, 90-იანი წლების მეორე ნახევარში ეს ანბანი შეცვლილ იქნა გ. კეჩარისა და ი. აიდინოვის მიერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანით, რომელიც შეძლებისდაგვარად აზერბაიჯანულ მოქმედ გრაფიკას იმეორებდა, თუმცა მასზე წინა, ვ. გუკასიანისეული ანბანის გავლენა იგრძნობოდა. მაგალითად, შენარჩუნებული იყო რამდენიმე რუსულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერა (ш, ж, в), არ შეიცვალა ჩაწერის პრინციპი (დიგრაფების გამოყენება) და ა. შ. ამ ანბანით გამოქვეყნდა უდიური საანბანო წიგნი (1996 წ.), რომლითაც დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს უდიური ენის სწავლება სოფ. ნიჯში. გამოქვეყნდა აგრეთვე გ. კეჩარის პოეტურ-პროზაული კრებულები „ორადინ“ („წყარო“) (2001 წ.) და „ბურუხმუხ“ („მთები“) (2003 წ.).

2007 წ. წელს ვ. დაბაკოვმა გადაამუშავა ეს ანბანი და ამ მოდერნიზირებული ვერსიით გამოსცა უდიური ფოლკლორის კრებული (2007). ეს ანბანი გ. კეჩარისა და ი. აიდინოვის ანბანისაგან ძირითადად დიაკრიტიკული ნიშნების ხშირი გამოყენებით განსხვავდება და პირიქით, მასში არ არის დიგრაფები და სლავური გრაფიკული სიმბოლოები.

2003 წლიდან მოყოლებული ზინობიანშიც მიმდინარეობს უდიური ენის ფაკულტატური სწავლება და ამ მიზნით გამოიყენება მ. ნეშუმაშვილის მიერ შემუშავებული ანბანი, რომელიც ფაქტობრივად ქართველ ენთმეცნიერთა მიერ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის შემუშავებული სამეცნიერო ტრანსკრიფციის იდენტურია.

ენობრივი პოლიტიკის კლასიკური (ადრეული) პერიოდის ისტორიიდან

გასული საუკუნის 1960-იანი წლებიდან სოციოლინგვისტიკაში აღმოცენდა კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც თავდაპირველად ენობრივი დაგეგმარება უწოდეს. იგი ჩამოყალიბდა როგორც პოსტკოლონიური, ახალგანვითარებული სახელმწიფოებისა და ეთნიკური ჯგუფების ენობრივი პრობლემების მოგვარების თეორიული საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ დარგის ისტორია ერთ საუკუნესაც ვერ ითვლის, იგი საკმაოდ სწრაფად ვითარდება. რიჩენტო ყოფს დარგის ინტელექტუალურ ისტორია 3 ეტაპად. პირველი გახლავთ ე. წ. **კლასიკური ენობრივი დაგეგმარების პერიოდი**.

ჰაუგენი განსაზღვრავს ენის დაგეგმარებას, როგორც საქმიანობას ნორმატიული ორთოგრაფიის, გრამატიკებისა და ლექსიკონების მოსამზადებლად არაჰომოგენური სამეტყველო საზოგადოებისათვის (ჰაუგენი 1959:8). აღნიშნული ტერმინი პირველად მან 1959 წელს გამოიყენა. ამ განმარტებიდან თუ ამოვალთ, დღევანდელი გაგებით ის უფრო არის კორპუსის დაგეგმვა. ხოლო სტატუსის დაგეგმვა, როგორც კლოსი განსაზღვრავს ორიენტირებულისა, თუ ენის რომელი ფორმა და ნაირსახეობა განავითარონ და გამოიყენონ ოფიციალურად (კლოსი 1969). სწორედ აღნიშნულ პროცესს მოიზრებს ის სტატუსის დაგეგმვა. ამდენად, ჰაუგენი ფოკუსირებულია უმეტესად კორპუსის დაგეგმვაზე, კლოსი კი – სტატუსის დაგეგმვაზე. მოგვიანებით ჰაუგენმა გამოყო ენის დაგეგმვის საფეხურები, რომლებიც ფაქტობრივად მოიცავდა ორივეს – კორპუსისა და სტატუსის დაგეგმვებს, რაც მისი აზრით, ემსახურებოდა ენის კულტივაციას. ესენია:

1. ნორმის შერჩევა (პრობლემების იდენტიფიცირება, ნორმების გამოყოფა, ენის ნაირსახეობის/სახესხვაობის შერჩევა კონკრეტული კონტექსტისათვის)
2. კოდიფიკაცია – ექსპლიციტური, ჩვეულებრივ წერილობითი ფორმის განვითარება (სტანდარტიზაციის პროცესი, გრაფიზაცია, გრამატიკალიზაცია, ლექსიკაცია)

3. დანერგვა – ენობრივი ფორმის გავრცელების მცდელობა (განათლებაში გავრცელება: კორექტირების პროცედურები, შეფასება)

4. შემოშავება – ენობრივი ვარიაციის უწყვეტი განახლება „თანამედროვე სამყაროს მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად“ (ფუნქციონალური განვითარება, ტერმინოლოგიაზაცია/მოდერნიზაცია, სტილისტიკური განვითარება) (ჰაუგენი 1983: 273-275).

ჰაუგენის შემოთავაზებული საფეხურები, რომლებიც გამიზნული იყო ორივესათვის (კორპუსისა და სტატუსის დაგეგმვისათვის) იქცა იმ პერიოდისათვის თეორიულ მოდელად და პრაქტიკულ გზამკვლევად. აღსანიშნავია, რომ ჰაუგენამდე სტატუსისა და კორპუსის დაგეგმვის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითა ფიშმანმა (ფიშმანი 1979: 12) და რუბინმა (1977), რომელმაც მოგვცა კიდევ იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე განმარტება ენობრივი დაგეგმვისა: „ენის დაგეგმარება არის ენის წინასწარ განზრახული შეცვლა ანუ, ცვლილებების შეტანა ენის კოდისა ან მეტყველების სისტემებში, ან ორივეში, რომლებიც დაგეგმა სწორედ ამ მიზნით შექნილმა თუ ასეთი მიზნების შესასრულებლად მანდატის მქონე ორგანიზაციებმა (რუბინი 1977: 282). ჯეიფის აზრითაც, ყველა ჩარევას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ენის გამოყენებასა და სოციალურ ფუნქციებს, გავლენა აქვთ ენის ფორმაზე, როგორც ამ ფორმების გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, ისევე იმ ღირებულების თვალსაზრისით, რომელსაც მას მიაწერენ. რა თქმა უნდა, სტატუსის დაგეგმვა ქმნის კორპუსის დაგეგმვის იდეოლოგიურ ჩარჩოს (ჯეიფი 2011: 208).

ენის დაგეგმარება ადრეულ ეტაპზე აცალკევებდა ენის დაგეგმარებას, როგორც ობიექტურ მეცნიერებას და ენის გამოყენების იდეოლოგიურ და სოციო-პოლიტიკურ რეალობას. მაგალითად, ტაული ამბობდა, რომ ენების კატეგორიზაცია შეიძლება მისი სარგებლიანობის ან ეფექტიანობის თვალსაზრისით. მაგ, სუსტი, არაეფექტური ენებია ეთნიკური, პრიმიტიული ენები, რომლებიც არ არიან კონსტრუირებული გეგმის მიხედვით. მისი აზრით, სწორედ ეს პრიმიტიული მასალა იყო კარგი დაგეგმარებისათვის. იგი ენის დაგეგმარებისათვის გთავაზობს ენების იერარქიას, რომლის ბოლო საფეხურზე დგას პრიმიტიული ენები, რომლებიც არიან ყველაზე კარგი და ხელსაყრელი დაგეგმარების თვალსაზრისით, ხოლო კოლონიური ენები დგას იერარქიის თავში (ტაული 1974: 51). ამ თვალსაზრისს აკრიტიკებენ, რადგან ენის აღწერა როგორც პრიმიტიულის, ეწინააღმდეგება ლინგვისტურ მოძღვრებებს და არის დამამცირებელი ამ

ენებზე მოსაუბრეებისათვის. სწორედ ამიტომ ამ თვალსაზრისს განიხილავენ როგორც უკიდურესობასა და ხისტს.

მართალია, ადრეული ეტაპის ენის დაგეგმარების სამუშაოები ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის დარგის განვითარებისათვის, მაგრამ აღნიშნულ კვლევებს გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც, რამაც გააჩინა სამართლიანი კრიტიკა: ის ექსკლუზიურად მიმართულია მხოლოდ მმართველი ორგანოების განხორციელებულ მიზანმიმართულ დაგეგმარებაზე. ენის დაგეგმარების საქმეში დომინირებდა სტრუქტურალისტური ეპისტემოლოგია და უგულვებელყოფილი იყო სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ენა ივითარებოდა, რაც ნიშნავს ანალიზიდან გამოირიცხებოდა იდეოლოგიური განზომილება. სწორედ ამიტომ გაჩნდა საჭიროება კვლევის ჩარჩოს გაფართოებისა და კონცეპტუალიზაციისა, რაც განხორციელდა კიდევ 1970-80-იან წლებში. ამ ეტაპს ეწოდება **გარდამავალი, შუა ეტაპი** და გრძელდება 1970-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების ბოლომდე.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

უარყოფითი ნაწილაკების ერთი რიგის (დემის, მადე) ფუნქცია სვანურ უარყოფით წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით

სვანურ ენაში უარყოფით ნაწილაკთა რაოდენობა, დანარჩენ ქართველურ ენებთან შედარებით მეტია. უარყოფის ნაწილაკები სვანურში, მსგავსად მონათესავე ენებისა, სამ ძირითად სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან: მარტივი (სტანდარტული, ნეიტრალური) უარყოფა, შესაძლებლობის უარყოფა და აკრძალვა.

სვანურ უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლეში განსაკუთრებით ბევრია მარტივი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები, რომლებიც ერთმანეთის ალომორფებად ითვლებიან, თუმცა შესაძლებელია მათი დიფერენციაცია ორი ნიშნით: ფუნქციური და სემანტიკური.

აგებულიების მიხედვით განსხვავებულ წინადადებებში ფუნქციური ნიშნით მათი დაყოფა თ. შარაძენიძეს ეკუთვის. მკვლევარმა დაადასტურა, რომ იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი მონაწილეობს ნაწილაკში (ა, ე და ო), განსხვავებულია მათი გამოყენების სფერო წინადადებებში;

მეორე მხრივ კი იკვეთება, რომ ეს ნაწილაკები სემანტიკურადაც არ არიან იდენტურნი: ისინი განსხვავდებიან კატეგორიულობის ხარისხის მიხედვით: ნაწილაკთა ერთი რიგი (ნეიტრალური, არაკატეგორიული) ქართულ არ/არა'ს შეესაბამება, ხოლო მეორე მათგანში (*დემის, მნდე/მადე...*) კი კატეგორიულობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ისინი განაპირობებენ ინფორმაციის სტრუქტურაში წინა პლანზეა წამოწეული სუბიექტის ნების უქონლობა მოქმედების/მოვლენის მიმართ; ქართულად ამ ნაწილაკთა ზედმიწევნით განმარტება შეუძლებელია, ზეპირ მეტყველებაში კი, ალბათ, ინტონაცია ჩანაცვლებს აღნიშნულ ნიუანსს და ასე მიიღწევა სათანადო სემანტიკის გადმოცემა.

იმას, რომ საანალიზო უარყოფითი ნაწილაკების სემანტიკაში კატეგორიულობა წამყვანია, ადასტურებს მათი შეუთავსებლობა პოტენციალისის *მოშ* ნაწილაკთან (განსხვავებით სხვა, ნეიტრალური უარყოფის ნაწილაკთაგან), რადგან კატეგორიულობა და შესაძლებლობა სემანტიკურად შეუთავსებელი ცნებებია, ხოლო სვანურშივე ნაკლებკატეგორიული, ნეიტრალური უარყოფითი ნაწილაკებით მათი ჩანაცვლება ტექსტში მოქმედების ან მოვლენისადმი დამოკიდებულების განსხვავებულ ინტერპრეტაციას განაპირობებს.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

სუფიქსი -ზა ტოპონიმებში

ტოპონიმთა ერთ წყებაში გამოიყოფა **-ზა** სუფიქსი. მოხსენებაში წარმოვადგენთ მოსაზრებას მის წარმომავლობაზე.

ირტავაზა / იტავაზა

1. მდინარე საჩხერის მუნიციპალიტეტში, ყვირილის მარცხენა შენაკადი.

2. სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში (არგვეთის თემის საკრებულო), მდებარეობს მდინარე იზვარის (ყვირილის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე. ზღვის დონიდან – 640 მეტრი, საჩხერიდან – 10

კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 768 კაცი. სოფელი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII საუკუნეში.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

ილტოზა

სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (მჭადიჯვრის თემის საკრებულო), ალევის ქედის სამხრეთ დაბოლოებაზე, მდინარე ქსნის ხეობაში. ზღვის დონიდან – 850 მეტრი, დუშეთიდან – 22 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მიხედვით სოფელში ცხოვრობს 167 კაცი.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად), შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

სპეროზა

მთა ახმეტის მუნიციპალიტეტში, სპეროზის ქედზე.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

რა აკავშირებთ ამ ტოპონიმებს ერთმანეთთან?

ხომ არ არის -**ზა** სუფიქსი სიტყვა „**გზის**“ ნაშთი, რომელიც საზღვრულად მიერთვოდა ამ ტოპონიმებს?

ასე: **ირტავა-(ის)-გ-ზა** > **ირტავა-(იზ)-გ-ზა** > **ირტავა-ზა** / **იტავაზა**, სადაც სიტყვის თავიკიდურმა -**გ**- ბგერამ შესაძლოა გაამჟღერა ნათესაობითი ბრუნვის -**ს** თანხმოვნითი ელემენტი **ზ**-დ და თვითონ გაუჩინარდა... შემდეგ თავმოყრილი ორი **ზ**-სგან ერთ-ერთი დაიკარგა?

იგივე ვითარება ხომ არ გვაქვს ტოპონიმში ილტოზა? **ილტო-ის-გ-ზა** > **ილტო-იზ-გზა** > **ილტოზა**? არსებობს მდინარე **ილტოზა**...

ასევე ტოპონიმში: სპეროზა? **სპერო-(ის) -გ-ზა** > **სპერო-იზ-გ-ზა** > **სპერ-ოზა**?

ცნობილია, რომ ტოპონიმებში საზღვრულად ხშირად გვხვდება: „ხევი“, „მთა“, „კარი“, და სხვადასხვა სიტყვები... ხომ არ არის ამ მაგალითებში სიტყვა „გზა“ ასევე საზღვრულად გამოყენებული?

დღეს **ირტავაზა** და **ილტოზა** მდინარეებსაც ჰქვია, შესაძლოა ისტორიულად **სპეროს** მდინარეც არსებობდა.

ამრიგად, **-ზა** დაბოლოება, ჩვენი აზრით, არის ტოპონიმის შემადგენელი საზღვრული სიტყვის „გზა“ ნაშთი.

ამოსავალი მნიშვნელობა ასეთი უნდა ყოფილიყო:

გზა, რომელიც მიუყვება **იტავას** // **იტაოს**, **ილტოს**, **სპეროს** მდინარეებს... ან სულაც, მათი (მდინარეების) გზა.

აქვე შესაძლოა შემოვიდეს ცნობილი ტოპონიმიც „**ოპიზა**“, რომელშიც **-ზა** სუფიქსი გამოსაყოფი უნდა იყოს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

გლუტონიმისაგან ნაწარმოები ერთი ზმნიზედის („თათარიახნად“) შესახებ

ქეგლის ძველი რედაქციის მიხედვით, ზმნიზედის – **თათარი-ახნად** – მნიშვნელობაა „წინასწარ მოუმზადებლად, – სახელდახელოდ; უცბად“. იგივე ლექსიკონი გლუტონიმ **თათარიახნს**, რომლისგანაც განსახილველი ზმნიზედაა ნაწარმოები, თურქულ სიტყვად წარმოგვიდგენს: [თურქ. თათარ „შიკრიკი“ და ახხნი „მოხრაკული ხორცი“; თათარიახხნი „შიკრიკისათვის სახელდახელოდ მომზადებული საჭმელი]. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის თურქულ განმარტების ლექსიკონებში **თათარიახხნი** ხორციან-წვნიან კერძად იხსენიება. თ. სახოკია აღნიშნავს: „იახხნი ოსმალურად წვენსა ჰქვია, ხოლო თათარი – სწრაფს, მოჩქარეს, მორბედს“. სიტყვა tatar, გარდა „შიკრიკისა“, თურქული მოდგმის ეთნოსს, ამ ეთნოსის წარმომადგენელსაც ნიშნავს და სწორედ აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება სხვა გლუტონიმებში – Tatar böreği (თათრული / თურქული ღვეზელი); Tatar çorbası (თათრული / თურქული წვნიანი). არის კიდევ ერთი დიალექტური სიტყვა tatarı, რომელიც სახელ-

დობრ კვებით სფეროს უკავშირდება და ცუდად მომზადებულს ნიშნავს, უფრო ზუსტად, რაიმე ბოლომდე რომ არ არის მოხარშული ან შემწვარი, ისეთზე ითქმის. ჩვენი მიზანი **თათარიახნის** ეტიმოლოგიის დადგენა არ არის, თუმცა მისი პირველი კომპონენტის დიალექტური კუთვნილებისა და შესაბამისი მნიშვნელობის განხილვისაკენ მისივე ლექსიკური მნიშვნელობის ქართული განმარტება – „სახელდახელოდ მოხარშული ხორცი; „როცა ხორცი მოხარშვაში შევა“ – გვიბიძგებს. ამ დაშვებას მხარს უჭერს ზმნიზედის **თათარიახნად** რიგით მესამე მნიშვნელობაც: „ერთგვარად, ზარხომად (შემთვრალის შესახებ)“, რომლის გაგებაც ასევე უსრულობის სემანტიკას ეყრდნობა – ხორცის დახასიათებას რომ მივუსადაგოთ: „როცა კაცი სიმთვრალეში შევა“ ანუ ბოლომდე მთვრალს რომ ვერ უწოდებ.

მიუხედავად იმისა, პირველი კომპონენტის წარმომავლობის რომელ ვერსიას გავიზიარებთ, მნიშვნელობის გადატანის საფუძველი გარეენობრივ მონაცემშია, რაც **თათარიახნად** წოდებული კერძის (იქნება ეს წვენი ხორცისა თუ მშრალად მოხარშული ხორცი) უცბად მომზადებას გულისხმობს. სწორედ „სახელდახელოებისა“ და „სისწრაფის“ სემათა აქტუალიზებით ხდება გლუტონიმ **თათარიახნის**, როგორც სახელმძღვანელო ერთეულის, მსაზღვრელ ერთეულად გადაქცევა.

ქველი ზმნიზედას **თათარიახნად** სასაუბრო მეტყველებას მიაკუთვნებს, თუმცა იგი არა მხოლოდ ყოფითი, არამედ სხვა დისკურსების (კრიტიკულ-პუბლიცისტურის, პოლიტიკურის, პროზაულის, პოეტურისა თუ სხვ.) შემადგენლადაც გვხვდება. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ გამოყენების სიხშირით ზმნიზედას ბევრად ჩამორჩება, მაგრამ დღესაც დასტურდება იმავე ფუძის ზედსართავი სახელი: „თათარიახნი ბრიფინგი“; „თათარიახნი მთავრობის სხდომა“, „თათარიახნი ტრანსფერები“ და მისთ. ვიდრე გაზედსართავებული **თათარიახნი** სხვადასხვა დისკურსში გადაინაცვლებდა, იგი ჯერ გლუტონიურ დისკურსში იქცა მსაზღვრელად, რის მაგალითადაც უნდა დავასახელოთ **თათარიახნი** (სწრაფად მომზადებული) **კერძები** და **თათარიახნი** (ნაუცბათევად გაშლილი, სახელდახელო) **სუფრა**. დროთა ვითარებაში გლუტონიმისაგან ნაწარმოებმა ზედსართავმა თუ ზმნიზედამ ზოგიერთ კონტექსტში უარყოფითი კონოტაცია შეიძინა, რასაც დიალექტური მასალაც მოწმობს – გურულში ფონეტიკურად სახეცვლილი **თათარახი** და **მთათარახება** საქმის სწრაფად,

მაგრამ ცუდად გაკეთებას ნიშნავს. იმავეს გვიდასტურებს თ. სახოკი-ას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“: „ხატოვნად თათარიხნად გვიქვია ყველა ნაუცბათევად, ნაჩქარევად გაკეთებულ ან მიფუჩქერებულ საქმისათვის“.

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ მაგალითებს, რომელთაგან უძველესი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდროინდელ, ხოლო უახლესი თანამედროვე დისკურსს განეკუთვნება.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ზანურის გზით შეთვისებული ლექსიკური ერთეულისათვის სვანურში¹

სვანურ ნასესხებ ლექსიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში დიდი რაოდენობით დასტურდება ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით) შეთვისებული მასალა. ამ მასალის უმეტესი ნაწილი, ბუნებრივია, დღესაც პროდუქტიულია მეგრულ-ლაზურში, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად განიხილავენ ისეთ ზანიზმებსაც, რომლებიც მეგრულ-ჭანურ მეტყველებას დღეს არ ახასიათებს და როგორც ოდინდელი ნასესხობა შემორჩენილია სვანურში (მ. ჩუხუა).

ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ, ზანურიდან სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში შეთვისებული მასალა დაგვეყო ორ ნაწილად: 1. უშუალოდ ზანურიდან (მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულები და 2. ზანურის (მეგრულ-ლაზურის) გზით შეთვისებული უცხოენოვანი (ბერძნული, რუსული, თურქული, არაბული, აფხაზური...) ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი მეგრულია. ცხადია, სვანურში გამომავლინეთ მეგრულ-ლაზურში გამქრალი ისეთი ზანიზმებიც, რომელთა შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში.

¹ მოხსენება მომზადდა 2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გზით ზანურიდან (შუალობით) სვანურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა სვანური ენის ფონოლოგიური და ლექსიკური სისტემების განვითარების ზოგადი სურათის წარმოსადგენად.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ლექსიკური ერთეულების ანალიზი:

აბარწა (ბქ.)/**ჰაბარწა** (ჩბხ.) „აივანი, წინკარი“ < მეგრ. აბარწა/ლაბარწა/აბარწა < აფხაზ. **ა-ბარწა** „აივანი, დერეფანი, პირმადი/პარმადი, წინკარი“

ბაპ (ზს., ქს.)/**ჰაპ** (ბქ.) < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ბერძნ. **Παππας**

ბუწკანტ/ბუწყანტ (ლზხ.) „გარმონი“, შდრ. ჩოლ. ლი-**ბუწკანტ**-ი „უხეიროდ, გამაღიზიანებლად საკრავის დაკვრა“ < მეგრ. **ბუწკანტ**-ი „ჯიბის გარმონი“ < რუს. **Музыкант** „მუსიკოსი, მემუსიკე, მესაკრავე, დამკვრელი“ (< ბერძ. **μουσική** musike „მუსიკა“)

ბერეკეთ (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ბერეკეთ-ი „ბარაქა“ < თურქ. (< არაბ.) **bereket** „სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი“

კამთარ (ბქ.)/**კანთარ** (ლზხ.) „ლიფი“ < მეგრ. კანთარი/ყანთარი „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“ < თურქ. **entari** „ქალის კაბა (სახელოებიანი), ღამის პერანგი“ < არაბ. **entari/antari/antar** „ლიფი, კორსეტი; ქალის პერანგი“; შდრ. ბქ. **კანთარ[ილ]** „ჟილეტი“ < ქართ. (რაჭ.) კანთარ-ი „უსახელო, მამაკაცის ჩასაცმელი ჟილეტი“ < მეგრ. კანთარი/ყანთარი „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“...

კუბეც (ბქ.) „მდიდარი“ < მეგრ. კუბეცი „ხელმომჭირნე მდიდარი კაცი“ < რუს. **кунец** „ვაჭარი, სოვდაგარი“

კუარწახ (ზს.) < მეგრ. კვარწახი „ტყემლის საწებელი (წვენი), – კვარწახი, წო, წუა“ (შდრ., ასევე, კვარწახალა „გაცხარება“, კვარწახულ-ი „მკვახე ნათქვამი“) < ქართ. (იმერ.) კვარწახ-ი „მოთუთქული მწიფე ტყემლის წვენი, შესანახად ნადული, – წუა“ (?)

მირცხალ (ბქ.) „მისხალი, მცირედი; ნატამალი“ < მეგრ. მირცხალი < ძვ. ქართ. მისხალი „წონის ერთეული, – დრამ-ნახევარი“, გადატ. „ძალიან მცირე, სულ ცოტა“

მერთაგა (ლხმ.), შდრ. ზს., ქს. **მუთაქა**, ლნტ. **მეთაქა** < ზან. (მეგრ.) **მურთაგა/მურთაქა** < ქართ. მუთაქა < არაბ. **mutakā'u**

ჩაჩამეტ (ზს.) 1. „სახელდახელოდ გამომცხვარი ულამაზო პურ-რი“, 2. ბქ. **გადატ.** „უშნო და მეტისმეტი მსუქანი ქალი“ < მეგრ. ჩაჩამეტა/ჩეჩამეტა „თიხის მომცრო კეცი; კეცზე გამომცხვარი ერბო-პური; ლობიანი ჭადი“; **გადატ.** „უნიათო კაცი“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია) < აფხაზ. **ა-ჩაჩამეტა** „ბლინი (ერბო-პური), ფასალი“ (ბ. ჯანაშია), **А-чачамыта** „ცხვრის ცხიმში გამომცხვარი ბლინები“ (ვ. კასლანძია)

მაფანაი (ბზ.)/**მაფანა** (ბქ.)/**მაღფანაი** (ლზხ.)/**მაფანა** (ლნტ., ფარ.) „წიწაკა“ **ბოტ.** < მეგრ. მაფანა < ქართ. ზაფრანა 1. „კულტურული მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა/ნარინჯისფერი სულუნელ-სანელებელი“, 2. „ფართოდ გავრცელებული სახელწოდება რამდენიმე ყვითელყვავილიანი მცენარისა, რომელთაც საჭმლის საწარმოებლად იყენებენ“ < არაბ.-სპარს. **za'farān**; შდრ., ასევე, სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული, **მაფანა** ძირის შემცველი შემდეგი ერთეულები: ლგ-**ძფან** (ბქ.)/ლგ-**მაფან** (ლნტ.) „წიწაკიანი (ზედმიწ. – **ზაფრან-იან-ი**)“; ლი-**ძფან-ი** (ბქ.)/ლი-**მაფრან-ე** (ლზხ.) „წიწაკით შეკმაზვა შეჭამანდისა“...

ხენწერა (ბზ.)/**ხენწერ** (ბქ.) „სერი, საქონლის გამოსაცნობად ყურზე შეჭრილი ნიშანი“ < მეგრ. ხინწირა/ხენწერა/ხნწრა „ცხვართხის სერის ერთ-ერთი სახეობა (ყურზე), – ნიშანი, დალი, სერი“; ხენწერუა „ნიშნის დასმა საქონელზე (ცხენზე)“ < აფხაზ. **а-хара** „სერი საქონლის ყურზე“ (თ. გვანცელაძე, მ. ბუკია) და ა. შ.

ბუნებრივია, მოხსენებაში ჩვენი კვლევა-ძიების კვალდაკვალ გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ საანალიზო ლექსიკურ ერთეულთან დაკავშირებული ყველა ის მოსაზრება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოთქმული ქართველ თუ უცხოელ სპეციალისტთა მიერ.

ქართველოლოგიური შენიშვნები

1. **ბაძვა**-ა ფუძე და მისგან ნაწარმოები ზმნები (**მიზაძვა**, **მოზაძვა**, **აღზაძვეზა**...) და სახელზმნები (**ზაძვა-მ**, **ამზაძ-ი**...) დასტურდება როგორც ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში (ძველ და ახალ აღთქმაში), ასევე საშუალ ქართულში („ვეფხისტყაოსანში“, საბასთან, დ. გურამიშვილთან) და ახალ ქართულშიც. **ზაძვა** – შურვება, მოშურნეობა, მიმსგავსება, შესწორება: „ნუცა ჰზაძვ ცოდვილთა“, (იგ. სოლ. 24, 19). საბასთან **ზაძ-ი** სიტყვის განმარტება ასეთია: „მისის საქმის მოქმედი“ (ქმნა Cq) ZAC; მოხმობილი აქვს უწყვეტლისა და ნამყო უწყვეტლის პირიანი ფორმები ობიექტური წყობისა, და განმარტებულია მიმღეობის ფორმები (**ამზაძი**, **მოზაძავი**, **ნაზაძვეცი**). საბა **ზაძვას** განიხილავს **შურ-** სიტყვის ბუდეში; ყურადღებას ამახვილებს მათ შორის მნიშვნელობის განსხვავებაზე. ეს განსხვავება ასახულია ხალხურ გამოთქმებში: „**ზაძვა**... სხვის მსგავსად ქცევა, წამხედურობა. „**ზაძვა** სჯობია შურსაო“ (ანდაზა), **ზაძილ-ი**: „შურმა დალია სოფელი, **ზაძილმა** ააშენაო“ (ქეგლ I).

სხვა ქართველურ ენებში ამ ფუძეს შესატყვისი ჯერჯერობით არ უჩანს. ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში I, ყურადღება მიიქცია **ბუჯოლ-ი** ფორმამ: საქმის ნელა კეთება, ფაფხური. **ბუჯოლა** საქმის ძალზე ნელა, ბოლომოუბმელად მკეთებელი. **ბუჯოლუა**... სახელი **იბუჯოლუ(ნ)** ზმნისა – საქმის ნელა კეთება; ფაფხური. ორდო-შე ონჯუაშა **იბუჯოლუ**, მარა ხეშე მუთუნი ვეიშმალე – დილიდან სადამომდე აკეთებს რაღაცას, მაგრამ ხელიდან არაფერი გამოსდის.

ფორმალური თვალსაზრისით ქართული **ზაძ-** ფუძე და მეგრული **ბუჯ-** კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები არიან (**ზაძ-** : **ბუჯ-**). ქართული ა-ს შესატყვისად მეგრულში უ-ს გამოვლენა (ნაცვლად ო-სი) ბ-ს მეზობლობით არის გაპირობებული. თუმცა ეს არ არის რეგულარული პროცესი (ტ. გუდავა, 1960). მეგრული ფორმა **ოლ-** მეტობით განსხვავდება ქართულისაგან, შდრ.: მეგრ. **ხუტ-ოლ-ი** „ჩახუტება“... ეს **ოლ-** საერთო ქართველური ზმნური სუფიქსი ჩანს (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000). მეგრულში გამოვლენილი სუფიქსების, მათ შორის, **ოლ-** სუფიქსის შესახებ იხ. ლ. გიგლემიანი 2009.

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, საბასეული განმარტება: „მისის საქმის მოქმედი“, მეგრ. ბუჯოლის განმარტებასაც „საქმის ნელა კეთება, ფაფხური“ ითავსებს, შდრ.: ქართ. დიალექტური **ბადია** – „უხეროდ, ბადით მოსიარულე უღლის ხარი, ანდა მთიულური **ბაძუძაობა** – ზოზინი; **ბაძუძაობს** ზოზინობს (ა. ლლონტი); შდრ. **ბაძუძუნა. ბაძუძინაობა** || დოდინობა, ზოზინობა ფშაურში (გ. გოგატიშვილი I, 2006).

2. **ბღალვა (შებღალვა)** წაბილწვა, შეურაცხყოფა (ქეგლ I) გვხვდება როგორც ძველი ქართულის, ისე შემდეგდროინდელ ტექსტებში. საბასთან **შებღალვა** დასტურდება (+30, 14 იობ. ZAA). შესვრა ZABCD. შესვარვა E. იობის წიგნში ეს ადგილი ასე იკითხება: „საღბობათა შინა **შებღალულ** ვარ.“ შდრ. აგრეთვე, „რამეთუ ჳელნი თქუენნი **შებღალულ** არიან სისხლითა...“ ეს. 59, 3 GS. OJ **შესუარულ**.

ძველ ქართულში დასტურდება მიმღეობური **შებღალულ-ი, დაბღალულ-ი** ფორმები. **შებღალვა** ნასახელარი ზმნაა და მისი ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა ყოფილიყო „ლაქა“ (ბ. გიგინეიშვილი, 2016). ვფიქრობთ, რომ ნასახელარი ზმნის ამოსავალი ფუძე ქართულში, კერძოდ, დიალექტებში (მოხეურში, მთიულურში) ჯერ კიდევ დაცულია: შდრ.: **ბღალა** (მოხ.) ნეხვი. „სათესლე გოდორი გალესილი იყო **ბღალაით**“ (ქავთ. მოხ. 1985). „კალოზე **ბღალას** (ნეხვს) მიუშვებს. ხევს. **შანეხვავს**, ფშ. **მონეხვავს**, ჩამოქნის, მოხ. **მოზღალავს**.“ (ლ. კაიშაური, მთიულ. 1967).

ბღალა (მთიულ.) 1. წყალში გახსნილი ნაკელი; 2. ჭუჭყი (ლ. კაიშაური).

როსტომ ფარეულიძე

-ლ ფორმანტის ფუნქციები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში

-ლ ფორმანტი ჩეჩნურ ენაში შედარებითი ბრუნვის ფორმანტად გამოყო პ. უსლარმა: გოჟრ-ა-ლ „ცხენისოდენა“... გამოხატავს, აგრეთვე, შედარებით ბრუნვაში მდგარ სახელზე მეტობის ან ნაკლებობის შინაარსაც. ამ ფუნქციით -ლ არის არა ბრუნვის ნიშანი, არა-

მედ სიტყვაწარმოების ფორმანტი. მიუხედავად ამისა, -ლ ფორმანტიანი სახელი, როგორც ბრუნვის ფორმა, დღემდე რჩება ჩეჩნურ ენის სახელმძღვანელოებში.

-ლ სუფიქსი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში, ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობის გარდა, გამოხატავს:

ა) მქონებლობას: ჩო „ბეწვი“, ჩო-ლ „ბეწვიანი, ბალნიანი“; დუაგ/დუოგ „გული“, დეგ-ი-ლ „გულიანი, გულადი“, დდალ//დდეღ „ტანი“, დდეღ-ა-ლ „ტანადი“; ჩამ „გემო“, ჩრმ-უ-ლ „გემოიანი, გემრიელი“...

ბ) მოქმედების მიმართულებას ან მყოფობას თხევად ან ფხვიერ მასაში: ხი „წყალი“, ხი-ლ „წყალში“ (მაგ., ჩახტა, დევს/არის); ‘ამ „ტბა, გუბე“, ‘რმ-უ-ლ „ტბაში, გუბეში“; დამ „ფქვილი“, დემ-ი-ლ „ფქვილში“...

გ) (ერთი) რაიმის ამარად ყოფნას: ქუჩაჩ//კაბ „კაბა“, (ცჰან) ქუჩ-უ-ლ//სკაბ-დე-ლ „(ერთი) კაბის ამარა“; მაღკ-დე-ლ „მაისურის ამარა“...

დ) მიუთითებს დროზე, წლოვანებაზე: შო/შუო „წელი“, შერ-ი-ლ „წლისა“; ბუთთ „თვე“, ბეთთ-ი-ლ „თვისა, თვიანი“; თახან(ა) „დღეს“, თახანა-ლ „დღევანდელი“; გჷრდჷ „შემოდგომა“, გურ-ა-ლ „შემოდგომის“ (მაგ., ვაშლი)...

-ლ სუფიქსი თითქმის ყველა სუბსტანტივისაგან აწარმოებს შედარებით ფორმას, -ლ-თი ნაწარმოები სხვა მაგალითები მცირერიცხოვანია.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

აფხაზური ენის ხშულ ფონემათა დისტრიბუცია ანლაუტში (აფხაზური ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით)

თანამედროვე აფხაზურ სალიტერატურო ენას 33 ხშული თანხმოვანი აქვს. მათი დისტრიბუციულ-სტატისტიკური კანონზომიერებები აქამდე არ იყო შესწავლილი, რის გამოსწორებასაც ემსახურება წინამდებარე კვლევა (აფხაზური ენის ეროვნულ კორპუსზე დაყრდნობით).

კორპუსული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანლაუტში ყველაზე ხშირია: დ (**დარა** „ისინი“), ბ (**ბარა** „შენ“), ფ (**ფსემ** „თევზი“), ყ (**ყამჟე** „მათრახი“), თ (**თფე** „ადგილი“), კ (**კნე** „თან“), გ (**გფე** „გუნდი“), ჭ (**ჭეც** „ახალი“), ჯ (**ჯმა** „თხა“) და წ (**წლა** „ხე“).

ანლაუტში გავრცელების მხრივ, მეორე ათეულს ქმნიან: ც (ცა „კანი“), ც (**ცგრა** „მარცვალი“), პ (**პროზა** „პროზა“), გ (**გგლოუპ** „დგას“), ჩ (**ჩეგლა** „ცხენით“), ძ (**ძე** „წყალი“), ტ (**ტატა** „რბილი“), ჩ (**ჩგარა** „მარხვა“), ჭ (**ჭკეზნ** „ბიჭი“) და ყ (**ყეშე** „ბრძენი“).

ანლაუტის პოზიცივაში სიხშირის თვალსაზრისით, მესამე ათეულში შედის: კ (**კაგ** „ხორცი“), ჭ (**ჭკეაარალა** „წარმატებით“), ქ (**ქგთა** „სოფელი“), კ (**კაჭე** „მოკლე“), წ (**წგცა** „ჭიქა“), ტ (**ტგლა** „ქვეყანა“), ქ (**ქაად** „ქალაქი“), ყ (**ყანტაზ** „შიშველი“), ლ (**ლე** „მინდორი“) და გ (**გეე** „ბორბალი“).

კორპუსის მიხედვით, ანლაუტში ყველაზე იშვიათად რეალიზდება: ძ (**ძაარა** „რეცხვა“) თ (**თა** „თივა“) და ჯ (**ჯეშე** „ნიორი“).

ყველა სიტყვაფორმა წარმოდგენილია ზუსტად იმ სახით, როგორც კორპუსში დასტურდება. თითოეულ მათგანს ჩამოშორებული აქვს სალექსიკონო ფორმათათვის დამახასიათებელი ა- პრეფიქსი.

წარმოდგენილ ცხრილში ჩანს ხშულთა გამოვლენის სიხშირე ანლაუტის პოზიცივაში პროცენტული მაჩვენებლითურთ.

		ანლაუტი	
#	ფონემა	რაოდენობა	%
1	დ	535 316	7.05
2	ბ	71 263	0.94
3	ფ	43 985	0.58
4	ყ	34 747	0.46
5	თ	31 850	0.42
6	კ	22 483	0.29
7	გ	21 121	0.28
8	ჭ	20 409	0.27
9	ჯ	19 130	0.25

10	ṽ	14 804	0.19
11	Ḷ°	13 583	0.18
12	Ḷ	12 802	0.17
13	Ḷ̇	11 061	0.14
14	Ḷ̈	10 318	0.13
15	Ḷ̉	8 337	0.11
16	Ḷ̊	5 868	0.08
17	Ḷ̋	5 305	0.07
18	Ḷ̌	4 963	0.06
19	Ḷ̍	4 766	0.06
20	Ḷ̎	3 459	0.04
21	Ḷ̏	3 427	0.04
22	Ḷ̐	3 403	0.04
23	Ḷ̑	2 964	0.04
24	Ḷ̒	2 735	0.04
25	Ḷ̓	2 271	0.03
26	Ḷ̔	1 965	0.02
27	Ḷ̕	1 806	0.02
28	Ḷ̖	1 539	0.02
29	Ḷ̗	1 253	0.02
30	Ḷ̘	1 087	0.01
31	Ḷ̙	620	0.01
32	Ḷ̚	511	0.01
33	Ḷ̛	267	0.01
ጸጻ		919 418	12.10

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ფუძემონაცვლე ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური არჩევანისათვის ქართულში (ძლევა – ცემა)

ყურადღებას იქცევს „მიცემა“ სემანტიკის შემცველი ასპექტში ფუძემონაცვლე [მი/მო/შე]-**ძლევა** და [მი/მო]-**ცემა** ზმნების შეწყვილების **ფუნქციურ-სემანტიკური არჩევანის** მოტივი, რაც უწინარესად აღიბეჭდება ამ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური ნიშანდებით (იხ.: სულხან-საბა, ილია აბულაძე, ზურაბ სარჯველაძე, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები; სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი; ქეგლ), შდრ.: ერთი მხრივ, ქართ. **ძლევის** ლექსიკურ-სემანტიკური ველი:

ლექსიკური ერთეული:	სემანტიკა:	მონაცემი:
ძლევა (აძლევს; აძლია, უძლევია)	„მიცემა“, „მიმცემელობს“; (და იყენ. მისცა, მიუცია) გრდმ, აწოდებს; განუკუთვნებს, ანიჭებს“	ძვ. და ახ. ქართ.
კაუზატ. აძლევინებს	„ავალებს აძლიოს. აიძულებს, საშუალებას აძლევს მისცეს, [მი]-ცემინებს, ანიჭებინებს“	ახ. ქართ.
მიძლევა (მივაძლევ)	„ძალის მიტანებით მიცემა“, „მიცემა ნებით, ხვეწნით“, „ვსთხოვ, რომ მიიღოს“	ძვ. ქართ.
შემოძლევა (შემოაძლევს)	„სთხოვს მიიღოს, აიღოს; შემოსთავაზებს“	ახ. ქართ.
შეძლევა (შევაძლევ, შეაძლევს)	„წინადადება მისაღებად ვისამე“, „მიღება გინა მისლვა უთხრას“, „თავს ვუმონებ“, „მისაცემად შესთავაზებს, მიღებას სთხოვს“	ძვ. და ახ. ქართ.
შეძლეული	„რაც შეაძლიეს, შეთავაზებული. სამოწყალოდ, სამადლოდ მიწოდებული“	ახ. ქართ.

მეორე მხრივ, ქართ. **ცემის** ლექსიკურ-სემანტიკური ველი:

ლექსიკური ერთეული:	სემანტიკა:	მონაცემი:
ცემა, გაცემა	„მიცემა“; მრავალთ მიცემა, დარიგება“	ბგ. ქართ.
ნუგეშისცემა, პატივისცემა	„სანუგეშო სიტყვით დაიმედება, გამხნეება“, „პატივით, თავაზიანად, მოწიწებით მოპყრობა, დაფასება“	
გარდამოცემა	მოცემა მალლიდამ, ანუ სწავლის განმარტება	ახ. ქართ.
მიცემა	„მინიჭება; მიცემა; «მიგება»; «მიგურა»“; „ბოძება; მიწოდება; სხვისათვის მიკუთვნება“	ბგ. და ახ. ქართ.
მიმცემელი, მომცემელი	„უქონელის გამაქონებელი“; „მიმცემი“; „მომცემი“	ბგ. ქართ.
მიმცემი	„მიმნიჭებელი“	ბგ. ქართ.
მისაცემელი, მოსაცემელი, საცემელი	„გამოსაღები; «ნიჭი»; საჩუქარი; მოწყალება; პატივი; ძღვენი“; „ქრთამი“	ბგ. ქართ.
მოცემა (მოსცემს)	„ესე არს არაქონებული აქონიო“; „მიცემა; გაცემა; გადაცემა; ჩუქება; (მი)ძღვნა; «მოსწავება»; გამოსაღები“; „მიცემა აქეთ მყოფისთვის“	ბგ. და ახ. ქართ.
მოცემული, ახ.ქართ. მიცემული	„მიცემული; ბოძებული; რაც მისცეს: ხელში მიწოდებული; მიკუთვნებული, მინიჭებული“	ბგ. და ახ. ქართ.
წარცემა, წაცემა (წარვსცემ)	„გაგზავნა ძღვენთა; გაუგზავნოს“; მირთმევა, გაგზავნა“;	ბგ. ქართ.

ამ ზმნათა ფუძემონაცვლეობა თვალსაჩინოდ წარმოჩნდება შესიტყვებებით:

ნუგეშს, იმედს **აძლევს** – „ანუგეშებს, აიმედებს“ // იმედს, ნუგეშს **მოიცემს** – „თავს ინუგეშებს, თავს დაიიმედებს“; პასუხს **აძლევს** // პასუხს **სცემს** – „უპასუხებს“, და სხვა მისთ.

განსახილველ **ძლევა – ცემა** ფუძემონაცვლე ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური არჩევანის მოტივად გვესახება ძვ.ქართ. **ძალის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის განმსაზღვრელი მაგისტრალური სემანტიკური მიმართულება:

„**უხილავი ძალი** → სამარადისო ღვთაებრივი მიზეზი, წყარო (ენერგია)“, კერძოდ – „ღვთის **მადლი** და **ნიჭი**“, შდრ.:

ძვ.ქართ. **მადლი** „ზეგარდმო მოვლინებული ღვთიური ძალა, წყალობა; მოწყალება; პატივი; საჩუქარი; ძღვენი; ზეგარდმო ბოძებული ნიჭი; უნარი; სიყვარული; სიხარული; ღვთივბოძებული მიწიური სიკეთე, კეთილი საქმე; მადლობა“;

ძვ.ქართ. **მისამადლებელი** „მისანიჭებელი; მისაცემი“;

ძვ.ქართ. **ნიჭი** „საჩუქარი; საბოძვარი; უნარი“;

ძვ.ქართ. **ტალანტი** „განძი; ნიჭი“;

სახელდობრ კი – ძვ.ქართ. **ძალის-ცემა** „გამხნელება“; ძვ.ქართ.

ძალ-ცემა „ძალის მიცემა (დახმარება)“ (შდრ. ტიპოლოგიურად: რუს. Благодарить „მადლი, სარგებელი“, ზედმიწევნით – Благо „სიკეთე, სიხარული“ და Дать „მიცემა, მოცემა“); ესპ. Gracia Divina „მადლი“, ზედმიწევნით – Gracia „სიკეთე“, Divina „ღვთის, ღვთიური“; ინგლ. God's Grace „ღვთის მადლი“.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ზოგი თანდებულის თავისებური წარმოებისთვის კახურში

კახურ დიალექტში თანდებულები საინტერესო სურათს გვიჩვენებს. კახურში თანდებულები, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, იმავე ბრუნვებში გვხვდება. ჩვენ მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე თანდებულის თავისებურ ფორმებზე, რომლებიც, ფაქტობრივ, აღარ გვხვდება ან იმ ფორმით აღარ გამოიყენება

კახურში. საანალიზო მასალა მოვიპოვეთ დიმიტრი მაჩხანელისა და მელანიას მოთხრობების მიხედვით. ეს მწერლები მე-19 საუკუნის მოღვაწენი არიან და საინტერესოა, თუ რა შეიცვალა თანდებულის ბრუნვათა წარმოება იმ პერიოდიდან დღემდე კახურ დიალექტში.

დიმიტრი მაჩხანელი რამდენიმე შემთხვევაში იყენებს ნათესაობითის **-ყენ** თანდებულს. ასეთი სულ ორიოდ ნიმუში დადასტურდა:

„მოვა დრო და ღმერთი **შენყენაც** გადმაიხედავს“ („ხალხის ცხოვრებიდან“, გვ. 157);

„-მახარობელი ვარ, ღმერთი **შენყენ** არი!“ („ხალხის ცხოვრებიდან“).

უნდა აღვნიშნოთ, რომ დიალექტური ფორმები პერსონაჟის მეტყველებაში გამოიყენება.

-ყენ თანდებული რამდენიმე გრამატიკულ ფუნქციას გამოხატავს, ერთ-ერთი მიმართულების ჩვენება. ერთი მოთხრობის „**მოგონების**“ პერსონაჟი ამბობს: „-ჰმ! აბა ეგ არის კიდევ ცეცხლი -და!.. - თავის ქნევით წარმოსთქვა ვიღაც ბერიკაცმა, რომელსაც „ყეზე“ ეცნეოდა „დაბალ ხარისხის“ ქიზიყელი იყო“ („მოგონება“, გვ. 127).

პერსონაჟის ეს ნათქვამი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ამ პერიოდში **-ყენ** უკვე დიალექტურ არქაიზმად ითვლება და თითქმის ზეპირ მეტყველებაშიც იშვიათად გამოიყენება. ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ **-ყენ** თანდებულის ფუნქციით (ასევე სხვა გრამატიკული ფუნქციების გადმოსაცემად) თითქმის უკვე აღარ გვხვდება, ის ჯერ ჩანაცვლა **-კენ** ვარიანტმა, რომლისგანაც მივიღეთ – **კე**. ამჟამინდელ კახურში თითქმის მხოლოდ **-კე** თანდებულნიან ფორმები გამოიყენება.

მელანიასა და მაჩხანელის მოთხრობებში ძირიდან დასტურდება მოქმედებითი ბრუნვის **-დან** თანდებულის **-დამ** დიალექტური ფორმა:

„წათორივე **აქადამ!**“ („ხალხის ცხოვრებიდან“, გვ. 160)

„რაც მამივა, **იქიდამ** მოვიხმო“ („ბნელო“, 30)

ამჟამად კახურში **-დამ** თანდებულს ძალიან იშვიათად ვხვდებით. კახურში აშკარაა იმის ტენდენცია, რომ **-დამ** თანდებულს სალიტერატურო ქართულის **-დან** ვარიანტი ჩაენაცვლოს. საანალიზო მასალაში **-დან** თანდებულს დადასტურდა.

მელანიას მოთხრობებში ასევე ვლინდება მოქმედებითი ბრუნვის თანდებულის არქაული **ით-გან** ფორმისგან „ასიმილაციით მიღებული“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956: 80) **-იდ-გან** ვარიანტი, რომელსაც გამოსვლითობის ფუნქცია აქვს:

„ფანჯრიდგან შვიდ-რვა ადღზედ იდგა“ („ზნელო“, გვ.3)
მოქმედებით ბრუნვაში თანდებულის ამგვარი ფორმა ამჟამად, ფაქტობრივად, კახურისთვის უცხოა.

ვითარებით ბრუნვაში ძირითადად **-მდინ** დაბოლოება გვხვდება, თუმცა **-მდის** თანდებულებაც არაა იშვიათი გამოყენებისა:

„ხუთ მანეთიდან ვიდრე თუმნამდინ“ („ზნელო“, გვ. 43)

„ზოგს ყელთამდის გამაძღარს კი მოჭარბებულს ცეცხლისგან „უგარი“ მოსდის“ („სულის ცხოვრებითგან“, გვ.119)

სხვა მხრივ ძირითადად არსებითი ხასიათის ცვლილება არაა, თუმცა გამოყენების სიხშირე განსხვავებულია **ზედ / ზე** ვარიანტებისა.

ნ ა ტ ჲ შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური წინადადება სვანურში

აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება წევრ-კავშირებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით, რომელთა რაოდენობა და ფონეტიკური ვარიანტები სვანური ენის დიალექტთა გათვალისწინებით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს: **იმეი** (ბქ.)/**იმეი/იმეიჷმ** (ლშხ., ჩოლ.)/**იმეინი** (ლშხ.)/**იმჷჷჷ** (ბზ.)/**იმაჷჷ/იმჷჷ** (ლნტ.) „როგორც“; **ჷოშჷმდინ** (ბზ.)/**ჷოშელდინი** (ლშხ., ჩოლ.)/**ჷოშელდ** (ბქ.) „რამდენჯერაც“; **ხალ** (ლნტ.)/**ხალ** (ჩოლ.)/**ჷალ** (ბზ.) „როგორც“; **ხემა** (ბქ., ჩოლ.)/**ჷმჷჷმ/ხამჷჷმ** (ბზ.)/**ხემოლჷჷმ** (ლნტ.) „როგორც“; **ხონ/ხონი** (ზს.)/**ხონი** „თითქოს“; **მუგჷდა/მუგჷდჷ** (ბქ.)/**მუგჷდჷმ** (ბზ., ლნტ.)/**მუგჷდად** (ლშხ., ჩოლ.) „თითქოს“; **ერე/ერე** (სვან.) „რომ“; **ელო** (ჩოლ.)/**ალჷე** (ლნტ.) „თუ“ ...

საილუსტრაციო მასალა:

ჰარაჷ იმჷჷჷმ აჷს ხეკჷად, ეჷჷინ აგჷთრა მჷგ (ბზ., სვ. ქრესტ., 31)
„არაჷი ვისაც რამდენი („როგორც ვის“) უნდოდა, იმდენს („ისე“) სვამდა ყველა“

ჷიბე შჷანსი ამჷრრლ ალე, ჩუბე შჷანს იმჷიჷმ ლას (ჩოლ.)
„ზემოსვანეთშიც ასე იქნებოდა ეს, ქვემოსვანეთში როგორც იყო“

უომელოდ დადა ლამზერთე ღერდა, ეჩშელდენ ქორ ქა ლეჯელტე ხეხოლიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 67) „რამდენჯერაც ბებია სალოცავად წავიდოდა, იმდენჯერ სახლი დაგვილი ხვდებოდა“

ხემოლტჷმ ალ მაკედა ახოკერჯახ, ეჯჷი ლოქ ადღერის იშკენ ლაა (ლნტ.) „როგორ ეს გადასახადი მოუხერხებიათ, ისე მოიცილონო აგრეთვე სხვაც“

ხნლ ერე მეთხუიარა ოთეხ ნათხუიარას მეთხუიარი შელდჷი, ედჷრთი ხილ სანხუბისა მენათი მუხუბემი შელდჷი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 44) „როგორც [რომ] მონადირეები ინაწილებენ ნანადირევს მონადირეთა რაოდენობის მიხედვით („თვლაზე“), ისე იყოფა ხილიც] სამძოში მოწილე ძმათა რაოდენობაზე“ და ა. შ.

მთავარ წინადადებებში კორელატებად წარმოდგენილია ვითარების, ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედები: **ეჯჷი/ეჯჷრნ/ეჩჷი/ეჩჷრნ/ეჯჷრნენ/ეიჷი** „ისე“; **აშ** „ისე“ **ამჷი/ამჷრნ** „ასე“; **ეკკაბდ/ეკკალობდ/ეკკალობდ** „ისეთნაირად“; **ამკკალობდ/ამკკალობდ/ამკკალობდ** „ამნაირად“; **ეჯზუმუშ** „იმდენად“; **ეჩშელდინ** „იმდენჯერ“; **ეჯგუტრ/ეჯგუტრ/ეჯგუტრ/ეჯგუტრად** „იმგვარად“; **ამგუტრდ/ამგუტრდ/ამგუტრდ/ამგუტრად** „ამგვარად“...

ეჩჷრნ ლეჯამაშუდ ლემპრდ, ერე მესმე ნათრ დემ ოთცტორა (ბზ., სვან. ქრესტ., 85) „ისე ძლიერად ყოფილა, რომ მესამე წილიც ვერ დაუტოვებია“

ალე ეჯჷრნენ ლოხგახ სგა, ერე ჟიქნჩუ ესგურენა ჟამ (ჩოლ.) „ეს ისე მიუდგამთ, რომ ზემოდან დასცემიათ („დასჯდომია“) ზვავი“
ლტედარ აშ ოხთელტრე, ერე ჩუ ღოთ აქტიც (ლშხ., სვან. ქრესტ. 289) „ღვედები ისე მოუჭირა, რომ კინალამ გაწყვიტა“

უომელოდინ ადბარის ტაშტისა, ეჩშელდინ ლიც ქა ხეკუტეს აგოშის (ლნტ.) „რამდენჯერაც იბანავებენ ტაშტში, იმდენჯერ უნდა გადაღვარონ („დაასხან“) წყალი“

ეჯგუტრ ხაჩიდ ფაუ, ერე კან ჩუადგან (ბქ., სვან. ლექს., 244) „ისე („იმ-გვარ-ად“) დაარტყა ჯოხი, რომ ხარი მოკვდა“ და სხვ.

მოსხენებაში ვრცლად იქნება მსჯელობა ჩამოთვლილი საკავშირებელი საშუალებებისა და მისათითებელი სიტყვების გამოყენების შემთხვევებზე, უკავშირო და ორმაგკავშირიან დამოკიდებულ წინადადებებზე და ჰიპოტატუსური კონსტრუქციის კომპონენტთა პოზიციაზე.

საუბრის შინაარსი შემცველი იდიომებისათვის მეგრულში

მეგრულში გამოიყოფა იდიომები, რომლებიც საუბრის სემანტიკას გამოხატავენ. საკვლევად გამოყენებულია პროექტის „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიის“ ფარგლებში მოპოვებული მასალა.

იდიომების მეშვეობით გადმოიცემა საუბრის სხვადასვა შინაარსი:

გაურკვეველი ლაპარაკი: აგამაგათ რაგადანს „გაურკვეველად ლაპარაკობს“ (ზედმიწ. „აგერ-ეგერ ლაპარაკობს“);

პირდაპირი ლაპარაკი: გოკვათილო რაგადანს „პირდაპირი, მიუკიბ[ავ]- (მოუკიბავად ლაპარაკობს“ (ზედმიწ. „გაჭრილად ლაპარაკობს“);

აგდებული, სასხვათაშორისო, უგულო ლაპარაკი: ალაგერდულო || ელაგერდულო რაგადანს „აგდებულად, სასხვათაშორისოდ, უგულოდ ლაპარაკობს“ (ზედმიწ. „ჰარი-ჰარად ლაპარაკობს“).

რადაცის (რადაც-რადაცის) ლაპარაკი: არხი-მარხიში ჩიებას დაანები დული „რადაცის (რადაც-რადაცის) ლაპარაკს დაანებე თავი“ (ზედმიწ. „ნაყარ-ნუყარის ლაპარაკს...“);

გადაკვრით ლაპარაკი: მუ მოკოში რაგადი უჩქუ! „რა გადაკვრით ლაპარაკი იცის“ (ზედმიწ. „რა ანდაზების თქმა იცის“);

ლაყბობა: მუშებურო დუ[უ]სვარსვალუანს ნინას „მისებურად დაასარსალებს ენას“ (ზედმიწ. **დოსვარსვალუა ნინაში** „ლაქლაქი, ყბედობა, სასწალი ენისა, ტარტარი“);

დაუდევრად რისამე თქმა: ქვდაყოთ ზიტყვა დო მიდართუ „დაიბარა („სიტყვა დააგდო“) და წავიდა“ (**ზიტყვაში** (|| **სიტყვაში**) **დოყოთამა** ზედმიწ. „სიტყვის დაგდება“);

ზოგადად ლაპარაკი: მუთუნც ვეჩიებუ, ვოუვალუანც პიც „არაფერს ამბობს, არ ამომრავებს პირს („არ ლაპარაკობს“)“ (ზედმიწ. **პიჯიში ვალაფა** „პირის ქნევა“);

ჩქარი ლაპარაკი: უმარმალუანს ნინას „ჩქარა ლაპარაკობს“ (ზედმიწ. **მარმალი ნინაში** „ჩქარი ლაპარაკი“, მარმალ-ი || მარმალუა „ხამხამი (თვალისა)“);

არაგულწრფელი, იძულებით ლაპარაკი: ნინა დო კიბირიშ(ი) შქას რაგადანს „არაგულწრფელად, იძულებით ლაპარაკობს (ზედმიწ. „ენასა და კბილ[ებ]ს შორის ლაპარაკი“);

ბევრი ლაპარაკი, ყბედობა: ნინათ ოკიშიშა იხვატუნს „ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს“ (ზედმიწ. **ნინათ ოკიშიშ ხვატაფა** „ენით ზურგის ფხანა (ქავილი)“);

ენაკვიმატობა, ენამოსწრებულობა, მწარედ თქმა

ნინათ ჯაშე კვარიას/ყვარიას გეგლასოთანს „მწარედ ლაპარაკობს“ (**ნინათ ჯაშე კვარიაშ(ი) გილასოთამა** ზედმიწ. „ენით ხიდან ყვავის ჩამოგდება“);

ტკბილად საუბარი: პიჯიშე თოფური უწენს „სასიამოვნოდ, ტკბილად საუბრობს“ (ზედმიწ. **პიჯიშე თოფურიშ გიმოწუმა** „პირიდან თაფლის დენა“); ამ შინაარსით გვხვდება, აგრეთვე, მეგრ. შანქარი „შაქარი“: **პიჯიშე შანქარი ეკუცენს** „სასიამოვნოდ, ტკბილად საუბრობს“ (**პიჯიშე შანქარი ეკუცენს** „პირიდან შაქარი სცვივა“);

საუბრის შეწყვეტა, გაჩუმება, დადუმება, დაუფიქრებელი ლაპარაკი: ნინაშა კილა/ზორქომი გეუმე „დადუმებულია, გაჩუმებულია, არაფერს ან დაუფიქრებლად ლაპარაკობს“ (ზედმიწ. **ნინაშა კილაში/ზორქომიში გედვალა** ენაზე კლიტის/ზოქლომის დადება.

გამოიყოფა საუბრის აღმნიშვნელი სხვა სემანტიკური ბუდეებიც. მასალის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სტატისტიკურად ყველაზე მეტია ლაყბობის შინაარსის შემცველი ჯგუფი. იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით ყველაზე აქტიურია მეგრ. **ნინა** „ენა“.

საყურადღებოა იდიომების აგებულება. გვხვდება ორ-, სამ-, ოთხკომპონენტიანი ერთეულები. უფრო მეტად გავრცელებულია ორ- და სამკომპონენტიანები. იდიომებში სხვადასვა მეტყველების ნაწილია წარმოდგენილი, აქტიურია სახელი, ზმნა და ზმნიზედა.

რამდენიმე შენიშვნა აფრიკატიზაციის შესახებ ჩერქეზულ ენებში

აფრიკატიზაციის პროცესი სხვადასხვა სისტემის მრავალ ენაშია გავრცელებული, მათ შორის – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ენებში. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩერქეზულ ენათა კონსონანტიზმის განვითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

აფრიკატიზაციის სხვადასხვა სახეობათაგან ჩერქეზული ენებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია, ისტორიულად სპონტანური მოვლენა. ამოსავალმა **გ ქ კ** ფონემებმა გარდაქმნის სამი საფეხური გაიარა: მათგან ჯერ პალატალური **გ ქ კ** მივიღეთ, შემდეგ – **ჯ ჩ ჰ**; ყაზარდოულში უკანაენისმიერი **გ**-საგან მიღებულმა **ჯ**-მ დეზაფრიკატიზაცია განიცადა (მაგ., ***ზაგან** > **ზაგან** > **ზაჯან** > **ზაჟან** „მელა“).

როგორც ვარაუდობენ, უკანაენისმიერთა აფრიკატიზაცია საერთოჩერქეზულ დონეზე დაიწყო და XX საუკუნეშიც გრძელდებოდა.

ყურადღებას იქცევს ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში მომხდარი აფრიკატიზაცია – (**გ** → **ჯ. ქ** → **ჩ. კ** → **ჰ**): ყაზ. **ჯარონჰან** „გირვანქა“ (შდრ. რუს. гривна || гривенка), **ჟაჩელ** „ადვოკატი“ (შდრ. ქართ. ვეჟილ-ი და არაბ. **wakil**), **ჯარაჰინ** (ქართ. **გრაფინ**-ი და რუს. **графин** – იტალიურიდან).

როგორც მ. კუმახოვი აღნიშნავს, ამოსავალი უკანაენისმიერი ხშულები შენარჩუნებულია ყუბანის დიალექტის ბაზუგოის კილოკავზე მეტყველი უფროსი თაობის მოსახლეობაში, გარდამავალი, პალატალიზებული **გ ქ კ** კი – ადიღეური ენის შაფსულურ დიალექტში (ზ. კერამევა). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ყაზარდოულ ზეპირ მეტყველებაში აფრიკატიზაციის შედეგად მიღებული **ჯ ჩ ჰ** ბგერის პარალელურად (როგორც ფაკულტატური ვარიანტები) გვხვდება პალატალიზებული **გ ქ კ** ბგერები.

საინტერესოა, რომ ჩერქეზულ ონომასტიკურ ლექსიკაში – გვარებსა და ტოპონიმებში, რომელთა ფიქსაცია მოხდა XIX საუკუნეში, შემონახულია უკანაენისმიერი ხშულები: ა) გვარებში –

Керашев, Абрегов, Гятов, Гергов (შდრ. თანამედროვე ჩერქეზული – **ჭარაშა, აბრაჯ, ჯათა, ჯარჯა**); ბ) ტოპონიმებში – **Гяга, Герен, Абрегико, Герпегеж**, (შდრ. თანამედროვე ჩერქეზული – **ჯაჯა, ჯაჯან, აბრაჯეა, ჯარფაჯა**).

ორ ადიღურ სიტყვაში სისინა მჟღერი სპირანტის აფრიკატიზაციასთან უნდა გვექონდეს საქმე (**ზ** → **ძ**): **აბამა** „აბაზა“, **ბამარ** „ბაზარი“ (შდრ. ყაბ. **აბაზა, ბაზარ**).

ყურადღებას იქცევს ერთი (წარმოშობით გერმანული) სიტყვა, რომელიც რუსულის გზით არის შემოსული ჩერქეზულ ენებში: ადიღ. **რაკეტ**, ყაბ. **რაკეტა** „რაკეტა“ და ყაბ. **ჰარაჰეტა** „სასიგნალო რაკეტა“ (რუს. ракета). ეს უკანასკნელი ყაზარდოული ფონოტაქტიკის ყველა წესის დაცვით დამკვიდრებულია ყაზარდოულ ენაში (მხედველობაში გვაქვს სიტყვის თავში ჩერქეზული ენისათვის არაბუნებრივი **რ**-ს თავიდან აცილება მის წინ **ჰ** მარცვლის დართვით და **კ** → **ჭ** პროცესი, რომელიც ნასესხებ ლექსიკურ ერთეულში განხორციელებულა).

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ფ ი ქ რ ი ა ა ფ ხ ა ი ძ ე ,
ნ ა ნ ა ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ც ი ც ი ნ ო გ უ ლ ე დ ა ნ ი

სვანური ზღაპრების უორდროპისეულ თარგმანთა ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში

შოტლანდიელ და-ძმა **უორდროპთა ღვაწლი** ყოველთვის დიდად იყო, არის და იქნება დაფასებული ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ქალბატონ მარჯორისთან „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული თარგმნა ასოცირდება, ის ბევრად მეტი იყო საქართველოსთვის, ვიდრე მხოლოდ თარჯიმანი (ნ. ალექსიძე).

სამწუხაროდ, დღემდე არაა გამოცემული **მარჯორი სკოტ უორდროპის** ის ხელნაწერები, რომლებშიც სვანური ენისა და სვანი ხალხის ეთნოლინგვისტურ-ფოლკლორული მასალებია წარმოდგენილი, განსხვავებით ქართლ-კახური, გურული და მეგრული მონაცემებისგან (იხ. Georgian Folk Tales, Translated and Betold by Marjory Wardrop, London, 1894), თუმცა 1911 წელს ლონდონში გამოქვეყნებული

„Englisch-Svanetian Dictionary“-ს ავტორი **ჯონ ოლივერ უორდროპი** თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში შემდეგს იტყობინებოდა: „The late Miss Marjory Wardrop left in manuscript an English translation of a collection of Svanetian folk-tales which may be published shortly“. სამწუხაროდ, სვანური ზღაპრების ინგლისურენოვანი ვარიანტები არც მაშინ დაბეჭდილა და არც შემდეგ – არც ბრიტანეთში და არც საქართველოში. სამაგიეროდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმულ **ბოდლეს** ბიბლიოთეკაში (**Wardr. 9.2**) დღემდე დევს „სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1993“.

და-ძმა ხშირად იყო მიწვეული ქუთაისში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე, და, თავისთავად ცხადია, მათ არ გაუჭირდებოდათ გაცნობა „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით მოღვაწე **ბესარიონ ნიჟარაძისა**, რომელიც საქართველოში უორდროპთა ცხოვრების დროს პედაგოგად მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. მიუხედავად იმისა, რომ წიგნს არ აწერია სვანური ზღაპრების შემკრების სახელი და გვარი, **დავით ზარეტის** ცნობილ ნაშრომში „Catalogue of the Wardrop Collection and Other Books and Manuscripts in the Bodleian Library“ (Oxford, 1973) ბესარიონ ნიჟარაძე დასახელებულია (რაღა თქმა უნდა, ქალბატონი მარჯორის წყალობით, თორემ ეს წიგნი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გარდა, ჩვენი ქვეყნის არც ერთ სამეცნიერო თუ არასამეცნიერო დასე/წესებულებაში აღარაა; უფრო მეტიც! – თვით უმგულელმა ნიჟარაძეებმა – ბატონი ბესარიონის მკვიდრმა ნათესავებმაც კი აღარაფერი იციან მისი არსებობის შესახებ).

სვანური ზღაპრები, რომლებიც გადმოქართულებულია ბესარიონ ნიჟარაძის მიერ (აღბათ, დიდი **ილია ჭავჭავაძის** თხოვნით, რათა ყველა ქართველისთვის ყოფილიყო გასაგები!), უაღრესად საინტერესოა არა მხოლოდ სიუჟეტური, არამედ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც; უპირველეს ყოვლისა, ტექსტები ყურადღებას იქცევენ როგორც საერთოქართველური ენიდან მომდინარე უძველესი ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით (განსაკუთრებით იდიომატურ გამონათქვამებში!), ისე ქართულ-სვანურ ენათა XIX საუკუნეში არსებული ინტერფერენციებით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს ზღაპარ „ამირანიდან“:

დევს **ჩერიად** (თითისტარად) ნაძვის ხე აქვს, **ჯარაიად** – დოლებშირა (წისქვილის ქვა) – გვ. 92.

ბესარიონ ნიჟარაძემ პირველ შემთხვევაში სვანურ-მეგრულსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული **ჩერ**-ძირი გამოიყენა; ამასთანავე, ფრჩხილებში მიუთითა მისი საყოველთაოდ აღიარებული სახეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იხმარა სპარსულიდან მომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დადასტურებული **ჯარა** („პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს/ბამბას ართავენ ან ძაფს ძახავენ“). რაც შეეხება სვანურ **დოლებშირა**ს, მას ზოგჯერ აქვს ფრჩხილებში მიწერილი ქართული თარგმანი (ქართულ ტექსტში!), ზოგჯერ კი – არა:

ეცადე, **განთხი** როგორმე შეაჭრა, მაშინ **დოლებშირას** სიმძიმე წინ წასძლევს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი **ხანგარი** (გვ. 98).

ამ ფრაზაში სვანურ ლექსემებს არსად აქვთ ქართული თარგმანები იმიტომ, რომ ზღაპრის წინა ნაწილშია მათზე მითითება. ერთ-ერთი მათგანია **განთხ**, რომლისთვისაც ბ. ნიჟარაძეს ფრჩხილებში მიუწერია ქართული „**მარღვი**“ (გვ. 97), მაგრამ ვ. თოფურია-მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ შემდეგი ვითარებაა:

1. უკანა ფეხი (ცხოველისა);
2. ადამიანის კოჭის უკანა ნაწილი (მყესიანად).

თანამედროვე უმჯუღელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ **განთხ** ადამიანის ქუსლის ზევითა ნაწილია.

ზოგჯერ, როგორც ჩანს, ბ. ნიჟარაძეს თავისი ქართული მაინცადამაინც არ აკმაყოფილებს და შედარებით იშვიათად ამა თუ იმ ლექსემის მნიშვნელობას თითქოს აზუსტებს შესაბამისი სვანური მონაცემის ფრჩხილებში წარმოდგენით:

დევის **ყოფა-მოსახლობა (ლირდე-ლიზგე)** ამირანს დარჩა (გვ. 92); ცხადია, „**ყოფა-ცხოვრება**“ სჯობდა!

ამოიღე და **უცხუნე (ლობუხვინ)** – გვ. 93;

რკინის შვილდ-ისარი მოსწიეს (**ანგუზებ**) – გვ. 89;

ერთის მხრით ვაშლი **სულ ჩამოყარა (ოხრუხენ)** – გვ. 90.

ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაოდ გავრცელებული ზღაპრების სიუჟეტებში სვან მთქმელებს შეაქვთ ხოლმე თავიანთი ხალხისათვის სპეციფიკური ეთნოლოგიური ნიუანსები ან საკუთრივ სვანური (ქართულ-მეგრულ-ლაზურისაგან განსხვავებული) ფრაზეოლოგია. ასე მაგალითად:

ამირანი ნადირობის ქალღმერთის – დალის შვილია, ხოლო მზეთუნახავს **ქეთუ** (< ქართ. **ქეთევან**-) ჰქვია და არა **ყამარი**.

ამიტომ შემთხვევითი არაა ვარლამ თოფურის შენიშვნა 1927 წელს უშუალოდ მის მიერ სვანურად ჩაწერილი „ამირანის“ ერთ-ერთ ვარიანტთან დაკავშირებით: „ზღაპარი შეიცავს ამირანის ამბავს, მაგრამ თვალსაჩინოდ განსხვავდება ქართული ვერსიისაგან“ (სვან. პროზ. ტ., I, 1939: 466).

მეტად საგულისხმოა, რომ „თავისუფალი სვანი“ **ეჯაზ** („ისინი“) ნაცვალსახელს სისტემატურად თარგმნის ქართველური ფუძეენიდან მომდინარე ფონემატური შესატყვისით („ეგენი/იგინი“), ხოლო უმლაუტიან ფორმებს ქართულ ლექსემებშიც იყენებს (**ვედენი** – „ოდენა“, გვ. 101).

ზემოთ ან ქვემოთ მიმავალი (ლ ე ჟ ა ი ლ ე ქ ვ ა მ ე ზ ი) აღმოსავლეთით ან დასავლეთით მიმავალია (გვ. 88);

რ ბ ი ლ ს ა ც (ე. ი. ხ ო რ ც ს ა ც) შეეჭამ და ძვალსაც დავხრავო (გვ. 92).

სრულიად მოულოდნელია ბ. ნიჟარაძის ჩაწერილი ტექსტის ერთ-ერთი ზმნის ფორმა – „ასე **ი-მე-ორ-ებ-ა** ყოველ წელს“ (გვ. 99); ცხადია უნდა ყოფილიყო **მე-ორ-დ-ებ-ა**, მაგრამ „სვანური გრამატიკის მოკლე განხილვის“ („ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი, 1911) ავტორმა რატომღაც პრეფიქსიანი ვნებითი არჩია სუფიქსიანს (იმიტომ ხომ არა, რომ ის უფრო არქაულია ქართველურ ენებში?). ამ შემთხვევაში ვერც სვანური მეტყველების გავლენას ვივარაუდებთ, რადგანაც საანალიზო ზმნა საერთოდ არ გვხვდება შესაბამის კონსტრუქციაში (შდრ. **ამეი ლი ჩი ზაჟ** – „ასე არის ყოველ წელს“).

სვანური ზღაპრის გადმოქართულებული ვარიანტის თანახმად, ამირანი ღმერთთან ჭიდილში იმიტომ დამარცხდა, რომ მან სამჯერ დაარღვია **ქრისდჷ თასდჷებ** („ქრისტეს თავდებობა“) ის წესი. ამ ეპიზოდს ბ. ნიჟარაძე შემდეგნაირად განმარტავს სქოლიოში: **„ქრისდეე თასდეებ**“-ს იგეთივე მნიშვნელობა აქვს სვანეთში, როგორც პატიოსანს სიტყვას აქვს. როგორც პატიოსანი კაცი პატიოსანს სიტყვას არ გადუღდება, ისე სვანი **„ქრისდეე თასდეებ**“-ს (გვ. 91). ვფიქრობთ, საანალიზო სინტაგმა 3000 წლის წინ შექმნილი უძველესი ხალხური თქმულების ქრისტიანიზებული ვარიანტის ილუსტრაციას წარმოადგენს.

ძველ სვანურ სიმღერებში **ყურშაი** ეწოდება ბეთქილისა და ქალაის ძაღლებს, აქ კი ის ამირანთანაა მიბმული რკინის ჯაჭვზე. ზღაპარში ნათქვამია: „ყ უ რ შ ა ო რ ბ ი ს ლ ე კ ვ ი ა. ო რ ბ ს, სვანების სიტყვით, სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე“ (გვ. 100).

მაშასადამე, მარჯორი უორდროჰს ხელთ ჰქონდა ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებთან, ისტორიულად ამოსავალ ძირებთან თუ გრამატიკულ ფორმებთან ინტერფერენცირებული სვანური ტექსტები, ამიტომაც, თავისთავად ცხადია, ის გარკვეულ სიძნელეებს წააწყდებოდა. ხომ ძალიან საინტერესოა, როგორ თარგმნა მან ბ. ნიჟარაძის ჩეწერილ „ამირანში“ დადასტურებული ასეთი ფრაზა? – ამირანმა **წემაში** მოაბა ხმალს (გვ. 91):

„სვანური ზღაპრების“ ერთ-ერთ სქოლიოში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, **წემაში** არის „**ჯამზარა**, თასმა – მსხვილად გრებილი“, ხოლო ვ. თოფურია და მ. ქალდანი ამ ლექსემის ქართულ შესატყვისად ასახელებენ **ჭაპანს** („სვანური ლექსიკონი“ 2000: 852) – უღლისა და მარხილის ერთმანეთთან დასაკავშირებელ დაწნულ თასმას (ბაგირს). ამგვარი ღვედით ან რკინის ჯაჭვით ხარები გუთანს ეწეოდნენ საქართველოში, მაგრამ მას **ჯამზარა** („ერქენის დასაკრავი“ – საბა) ერქვა. „სვანური ზღაპრების“ ქუთაისის ამხანაგობის №4 გამოცემაში (ტიპო-ლიტოგრაფია გამრეკელისა) კორექტურული შეცდომა ხომ არაა?!

მაგრამ ამდენი რამ ქართული ყოფიდან ეცოდინებოდა ქალბატონ მარჯორის?! – რა თქმა უნდა, არა! ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ გარკვეული ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ, ვიდრე არ გვექნება შესაძლებლობა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში მუშაობისა, სადაც **ოლივერ უორდროჰის მიერ ინგლისურად თარგმნილი იმ სვანური ტექსტების ხელნაწერებიც ინახება**, რომლებიც XIX საუკუნეში იბეჭდებოდა ცნობილ კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (ტ. 10, Тифлиси, 1890; იხ. **Wardr. 15.30**).

ვფიქრობთ, რომ ოლივერ და მარჯორი უორდროჰებისთვის კავკასიური საგმირო ეპოსის თემატიკა მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა, ალბათ, იმიტომ, რომ ამირანის თქმულება კოლხურ-იბერიულ ფოლკლორში უფრო ახლოსაა ძველისძველ შუმერულ-აქადურ და ანტიკურ ბერძნულ ეპოსთან, ვიდრე ევროპულთან ან ქრისტიანული ეპოქის აღმოსავლურ სამყაროსთან (ნუცუბიძე 1956, § 2; ჩიქოვანი 1965: 346). ბატონ ოლივერს პრომეთეს სახელთან დაკავშირებული ლეგენდაც უთარგმნია ინგლისურად და შესაბამისი გამოკვლევაც („Transcaucasian folktales about Prometheus“ – დღემდე გამოუქვეყნებელი, იხ. **Wardr. d 40/4** და **Barrett**, 1973: 340), შეუქმნია ხოლო ამირა-

ნის თემა და-ძმის კოლექციაში 15 დასახელების ქართულენოვანი წიგნით და ალექსანდრე გრენის რუსული სტატიითაა (Грузинская повесть об Амиране, сыне Дареджана, и остатки сказании о нём в картвельской народной литературе, "Журнал министерства народного просвещения", Ст.-Петербург, 1895) წარმოდგენილი. აი, რას წერს ქალბატონი მარჯორი თავის ნარკვევში „შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“: „**საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო...** სწორედ იქ უფატრავდა გულს, ზევსის სასტიკი ბრძანებით, კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზეცის ფრთოსანი ძაღლი... მრავალი ძველი ლეგენდა შემოუნახავს მეხსიერებას! ერთერთი მათგანია **ლეგენდა ამირანზე**, რომელიც **სხვა არა არის რა, თუ არა კლასიკური მოთხრობა პრომეთეს** შესახებ“. შდრ. ნ. მარის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ამირანი პრომეთეს მაგვარი ტიპია, ოღონდ უფრო ძველი და მრავალფეროვანი „Легенда из яфетического мира докатилась до Грузии, гду она претворена в сказание о Прометее“ (Март 1938: 130).

ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნაწერების საცავში დღემდე არსებობს მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ ნათარგმნი მრავალფეროვანი სვანური მასალა. ფონდის დირექტორმა პროფესორმა ჯილიენ ევისონმა აღნიშნა, რომ მათთან დაცულია საქართველოში გავრცელებული არაერთი ზღაპრის ხელნაწერი, მაგრამ მათ შორის, რომელია კონკრეტულად სვანური, აქამდე არ არის იდენტიფიცირებული. ქალბატონმა ჯილიენმა გამოთქვა სურვილი, რომ იგი მოხარული იქნება, თუ ჩვენ გავუზავნით კვლევის შედეგად მოპოვებულ ლინგვისტურ ინფორმაციას, რომელიც ამ ზღაპრების სვანურ ენასთან კავშირს და მათ სვანურ წარმომავლობას დაადასტურებს. ჩვენი ამოცანაა გავიგოთ, თუ როგორ მოახდინა მარჯორი უორდროპმა ქართული და სვანური ენის სინთეზი შესაბამისი ტექსტების ინგლისურად თარგმნისას. ასევე, ნათარგმნი მასალა გვინტერესებს არა მხოლოდ სვანურის, არამედ ყველა იმ ინფორმაციის თვალსაზრისით, რომელიც ქართული ენის სასაუბრო, სალიტერატურო თუ დიალექტური ფორმების ინგლისურად წარმოდგენას ეხება, რადგანაც ბესარიონ ნიჟარაძე „ამირანის“ ქართულენოვანი ტექსტის გადმოცემისას აშკარად განიცდის ლექსუმურ-რაჭულ კილოთა გავლენას.

მარჯორი უორდროპის ხელნაწერი ხასიათდება გაკრული წერის ისეთი მანერით, რომელიც თანამედროვე ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც კი ძნელი გასარჩევია. მისი კალიგრაფია ინგლისური მართლწერის – გადაბმული ასოების (**joint letters**) მანერას შეესაბამება. ეს სტილი კალიგრაფიის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს ატარებს, ამიტომ ასეთი ხელნაწერი წასაკითხავად არც თუ ისე მარტივია, მით უმეტეს, როცა თითქმის საუკუნუნახევრის წინანდელ ნაშრომზე ვმსჯელობთ. ამ ხელნაწერის გაშიფრვაში რამდენიმე ბრიტანელი მოქალაქე ჩავრთეთ: **ალექსანდრე შონ ლავიტის** აზრით, მარჯორი უორდროპის კალიგრაფია ძალიან ჰგავდა მისი ბავშვობის დროინდელი ხელწერის მანერას და ამის გამო, მას არ გასჭირვებია ტექსტის წაკითხვა. საინტერესოა, რომ ალექსანდრე მარცხენა ხელით წერს. იქნებ ქალბატონი მარჯორის შემთხვევაშიც იგივე ვითარება იყო?!

„ამირანის“ პირველი გვერდი ინგლისურ ხელნაწერში, ისევე, როგორც მის ქართულენოვან ორიგინალში, გაბმული ტექსტის სახით არის ნაწერი, უაბზაცოდ. ზოგიერთი სიტყვა მთარგმნელის მიერაა გადახაზული და შესწორებული ვარიანტი იქვე წერია. ზოგან შემოხაზული ლექსემის ქვეშ გასმული ხაზის ისრიანი მიმართულება გიჩვენებს, თუ სად უნდა მოხდეს ამ სიტყვის გადასმა წინადადებაში. ეს არის თანამედროვე კორექტურის ჩვეულებრივი წესი, რომელიც, როგორც ჩანს, ადრეც იმავე ტექნიკური პრინციპით გამოიყენებოდა.

ინგლისურ ხელნაწერში პირველ რიგში ლექსიკა იქცევს ყურადღებას.

ერთგვერდიან ტექსტში შეგხვდა 2 არქაული არსებითი სახელი და 1 არქაული მაკავშირებელი შესიტყვება:

Maiden არ ქ. „გასათხოვარი გოგო“ ან „ახალგაზრდა ქალი“, ქართულ ორიგინალში გამოყენებულია „ქალი“;

Withal არ ქ. „ამასთან ერთად“, შდრ. ქართულში „ამასთანავე“;

Morrow არ ქ. „მომდევნო დღე“, ქართულ ორიგინალში მისი შესატყვისია „ხვალ“.

როგორც ვხედავთ, ინგლისურ ტექსტში არქაული ფორმები ორიგინალიდან კი არ არის გადატანილი, არამედ მთარგმნელს ისინი თავად გაუარქაულებია ტექსტის ზოგადი არქაული იერის გასამძაფრებლად.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსებამ **ხვედი**. რვატომეული ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა**), **ხვედ** ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ხის ურო. 2. რკინის ურო. „თავისუფალ სვანს“ თავისი ტექსტის სქოლიოში მოჰყავს რაჭული და სვანური სინონიმები „რაჭაში ხვედს **კვეფოს** ეძახიან, სვანურად **ყვამა** ჰქვია“ (გვ. 84). ინგლისურ ტექსტს მსგავსი სქოლიო ვერ აღმოვუჩინეთ, შესაბამისად, რაჭული და სვანური ფორმების შესატყვისები ინგლისურში არ ჩანს, თუმცა შესაძლოა, ისინი ხელნაწერის შემდეგ გვერდზე აღმოჩნდეს, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ. ქალბატონი მარჯორი „რკინის ხვედს“ ინგლისურად თარგმნის როგორც **iron hammer** („რკინის ჩაქუჩი“)-ს. ამკარაა, რომ ხვედის რეალური მნიშვნელობა მთარგმნელმა მშვენივრად იცის და მის ინგლისურ შესატყვისად მარტივ შინაარსობრივ თარგმანს ირჩევს. ქეგლის მიხედვითაც ეს არჩევანი გამართლებულია, თუმცა სვანური **ყვამა** და რაჭული **კვეფო** მთარგმნელმა, ჩვენი აზრით, შეგნებულად გამოტოვა, რათა მკითხველი არ დაბნეულიყო.

„ამირანის“ ზღაპარი იწყება აღწერით უდაბური ტყისა, რომლის ხის წვეროები ცას სწვდებოდნენ. შდრ. ინგლისური თარგმანი: „ველურ ტყეში, რომლის ხის წვეროები ცას სწვდებოდნენ, იდგა ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მაღალი კლდე – *In a wild wood whose tree tops reached to heaven, there stood a small but very high rock*“.

ცა ინგლისურად არის **sky**, მაგრამ მარჯორი უორდროპმა ამ სიტყვას გვერდი აუარა და სალიტერატურო ენის ფონდიდან გამოიყენა *heaven*, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა არის **სამოთხე** (ზეციური სამოთხე), თუმცა სალიტერატურო ინგლისურში ის „ცას“ აღნიშნავს.

* არნოლდ ჩიქობავას ყველა მონოგრაფიას, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ყველა ტომს დღემდე სათუთად უფრთხილდებიან ოქსფორდში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფუძემდებელი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი გახლდათ, არამედ იმიტომაც, რომ ბატონი არნოლდი თავისი სახელოვანი სიცოცხლის მანძილზე ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებული ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ღირსეული წევრი იყო, ჩვენ კი – მის მოწაფეებს – მასწავლებლისთვის გადაუხდელ ვალად გვადევს უცხოელ ეთნოლინგვისტთა, დიპლომატთა თუ მოგზაურთა იმ ქართველოლოგიურ ნაშრომთა კვლევა, რომლებიც საუკუნუნახევარია დევს ზოდლეს ბიბლიოთეკაში, მით უფრო, რომ ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისათვის...

ამის სანიმუშო ილუსტრაცია: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა – *Our Father, who art in heaven...*“ (კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონი, <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/heaven>).

ტყის აღწერისათვის გამოყენებულია ეპითეტი „უდაბური“, რომლის შესატყვისია ინგლისურ ტექსტში „ველური ტყე – *wild wood*“. „უდაბურის“ ინგლისურ ეკვივალენტად შეიძლება „*deserted*“ – უკაცრიელი, უდაბური, მიტოვებული“, მაგრამ „*wild wood*“, ჩვენი აზრით, ბევრად უფრო მხატვრული არჩევანია საანალიზო ტექსტისთვის.

ზღაპარში გვხვდება ფრაზეოლოგიზმის ერთი ყურადსაღები მაგალითი: „კლდე ისეთი მაღალი იყო, თვალი ვერა სწვდებოდა“, რაც ინგლისურად ნათარგმნია როგორც: *the rock mounted so high that you could not reach the top*. სიტყვასიტყვით: კლდე (არს. ს.), ასული მაღლა (ზმნისართი), ისე (კორელატი) მაღლა, რომ (კავშ.), შენ (ნაცვ.), შეიძლება (მოდალ. ზმნა), ვერ (უარყ. ნაწ.), მიღწევა (მასდარი), წვერო (არს. ს.).

ამის მიხედვით ქართულ წინადადებას შემდეგნაირად ჩამოვაცალიბებთ: „კლდე ისე მაღლა იყო აღმართული, რომ მის წვეროს ვერ მისწვდებოდი“. ქართულის „თვალი ვერ მისწვდებოდა“ ინგლისურადაც ფრაზეოლოგიზმით კი არ ჩანაცვლდა, არამედ წინადადების შინაარსი თხრობის სადა მანერით გადმოიცა.

ერთგან ქართული ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურა თარგმანში ზოგჯერ თითქოს დარღვეულია, მაგრამ ზოგადი აზრი მაინც არის შენარჩუნებული: „რამდენ სატეხსაც მიაჭედდა, იმდენ საფეხურს იკეთებდა და ზევით-ზევით იწევდა“, შდრ.: *began to strike the rock with the hammer in such a way that he formed steps*. სიტყვასიტყვით:

დაიწყო (აორისტი), დარტყმა (მასდარი), კლდე (არს. ს.), ჩაქუჩით (წინდებულიანი ფორმა მოქმ. ბრუნვის გადმოსაცემად), იმგვარი გზით (ზმნისართი), რომ (კავშ.), მან (ნაცვ.), შექმნა (აორისტი), საფეხურები (არს. ს.).

ქართულად ეს წინადადება ასე შეიძლება ითარგმნოს: „*ჩაქუჩით კლდის ტეხას იმნაირად შეუდგა, რომ საფეხურები გამოკვეთა*“. ორიგინალიდან „ზევით-ზევით იწევდა“ ინგლისურ თარგმანში არ გადავიდა; აგრეთვე, გამოტოვებულია „ერთი გულა სატეხი“ (იხ. გვ. 84).

ასეთი მაგალითები უორდროპის თარგმანს, ჩვენი აზრით, წუნად ვერ ჩათვლება. უთარგმნელი მონაკვეთების არსებობას ამა თუ იმ ენის მატარებელთა შორის არსებული ინდივიდუალური, სოციალური თუ სხვა ხასიათის სხვაობებით ხსნიან. ამასთანავე, არასრული თარგმანის სხვა მაგალითები ამ ტექსტიდან ჯერ არ მოგვიპოვებია, რათა სხვა სახის არგუმენტები გაგვიჩნდეს. აქ შეიძლება **დ. ჯილეს** სიტყვებიც გავიხსენოთ: „მთარგმნელისთვის მთავარია, ესმოდეს ფუნქციური და ლოგიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც წინადადებებს უდევს საფუძვლად, რათა შეძლოს სამიზნე ენის რეპროდუქცია“ (ჯილე 1995: 93).

მაშასადამე, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული „სვანური ზღაპრების“ ენა, უპირველეს ყოვლისა, ზოგადლინგვისტური მნიშვნელობისაა დიგლოსიური სპეციფიკის თვალსაზრისით, ხოლო მათი ინგლისურენოვან თარგმანთა ხელნაწერები კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევენ ბილინგვურ ჭრილში, ეს ინტერესი კი ჩვენში აღძრეს: აკადემიკოსმა **ელგუჯა ხინთიბიძემ**, პროფესორებმა **მარიკა ოძელმა** და **ნიკოლოზ ალექსიძემ** (რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნეს ჯონ ოლივერ და მარჯორი სკოტ უორდროპების ფონდში დაცული მასალების შესახებ), აგრეთვე, უორდროპთა კოლექციის დირექტორმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ჯილიენ ევისონმა** (ვინც რამდენიმე წლის წინ გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰადიშში, რომლის მოსახლეობამ მტერთა იავარყოფას გადაარჩინა ოთხთავის პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი. **აკაკი შანიძის, რობერტ ბლეიკისა** და სხვათა გამოკვლევები ჰადიშის სახარების შესახებ დღემდე ამშვენებენ ბოდლეს ბიბლიოთეკას).

ულრმესი მადლობა ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს (დაარსებიდან დღემდე!) ჩვენი წინაპრებისა თუ მასწავლებლების სამეცნიერო ღვაწლის პატივისცემისა და მათი კავკასიოლოგიური ნაშრომების სათუთად შემონახვისათვის...

ენისა და ერის ურთიერთმიმართების პრობლემა გაბრიელ ეპისკოპოსის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811, 20 ივნისი), რუსულმა საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ ქართული ეკლესიის მიზანმიმართული და მეთოდური განადგურება დაიწყო. დაიხურა ეკლესია-მონასტრები, საგრძნობლად შემცირდა ეპარქიათა რიცხვი, საქართველოს ეკლესიის მთელი ქონება სახელმწიფოს გადაეცა. რუსულმა იმპერიამ მთავარი იერიში მაინც ქართულ ენაზე მიიტანა. დაიწყო ქართული ენის განდევნა სკოლიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ა.შ. ასეთ რთულ პირობებში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლებმა მშობლიური ენის დაცვა თავის უპირველეს საზრუნავად მიიჩნიეს.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საინტერესოა ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და მეცნიერის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის) მოღვაწეობა (1825-1896). ნიშანდობლივია, რომ მის შესახებ მკვლევარი და პედაგოგი მელიტონ კელენჯერიძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა: „გაბრიელს ძლიერ უყვარდა სამშობლო ენა. ის ვითარცა მადისტრი, სხვადასხვა ენაზედ ლაპარაკობდა, მაგრამ თუ რუსთან ან სხვასთან არ ჰქონდა საუბარი, ყველასთან დედა-ენაზედ ლაპარაკობდა“.

მოხსენებაში წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნება ჟურნალ „მოამბეში“ (1896 წ.) გამოქვეყნებული ეპისტოლე სახელწოდებით „**გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა**“ (1872), რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსსა და გიორგი მუხრან-ბატონს (1820-1877) შორის გამართულ პოლემიკას ენისა და ერის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხება.

აქცენტისა და დიქციის ზოგი თავისებურება ქართულზე, როგორც არამშობლიურ ენაზე საუბრისას

აქცენტისა და დიქციის საკითხები ენის პრობლემატიკით დაინტერესებულ პირთათვის მუდამ მრავალმხრივ საყურადღებო იყო. მითუმეტეს საყურადღებოა თანამედროვე ეპოქაში, როცა ენების შესწავლის დახვეწილი და მრავალფეროვანი ტექნიკური ინსტრუმენტები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტიკის მონაპოვარი ამ მხრივ (როგორც მეთოდოლოგიის, ისე საკუთრივ კვლევა-ძიების თვალსაზრისით) უმდიდრესია. საგანგებოდ აღსანიშნავია ამ თემისადმი სტილისტიკის დარგის მომცველობითი დამოკიდებულება, რამდენადაც ყველაზე უკეთ აქ იყრის თავს ლიტერატურის, როგორც ხელოვნების და ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, უძირითადესი, საკვანძო საკითხები.

წინამდებარე მოხსენებაში ჩვენი ინტერესის საგანია სიტყვის ხელოვნებისა და ენის მიმართების ჭრილში აქცენტისა და დიქციის ზოგიერთი თავისებურება ქართულზე, როგორც არამშობლიურ ენაზე საუბრისას. ამ მხრივ მდიდარ მასალას გვაწვდის მხატვრული ლიტერატურიდან პერსონაჟის მეტყველებაზე დაკვირვება. ამგვარ პერსონაჟთა მეტყველების მეტად მნიშვნელოვან ნიმუშებს გვთავაზობს როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურა (მაგ., კ. გამსახურდიას, მიხ. ჯავახიშვილის, ჭ. ამირეჯიბის და სხვათა შემოქმედება), ისე უახლესი ქართული პროზა.

თანამედროვე მწერლებიდან საგანგებოდ ვიმსჯელებთ ფიქრია ყუშიტაშვილის ბრწყინვალე მოთხრობაზე „Why not?!“ (დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალში „ოლე“, №3(46), თელავი, 2020). ეს მოთხრობა ე. წ. ყბადაღებული ბულინგის (ძალადობის) თემაზეა და ქართველი საზოგადოების მრავალ მტიკვენულ და საჭირბოროტო საკითხს წარმოაჩენს: სოციალური, ფსიქოლოგიური, მენტალური, ეთნოგრაფიული, ისტორიული კუთხით. ჩვენი კონკრეტული დაკვირვების საგანია ინგლისურენოვანი პედაგოგის ჯეფის (ინგლისური ენის ამერიკელი მასწავლებლის) ქართულენოვანი მეტყველება, კერძოდ: ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის,

სტილისტიკის თავისებურებანი. მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს მოთხრობიდან:

„– რათომ? უნდა ჩვენთან დაგვათიყო და ამერიკაში რომ ჩამო-
ჰვალ და ჩემი შშობლები გაიცინობ, ლაგად და უკომფლექსოდ ებასე-
ბი“ (გვ. 42).

„– იოსებ, ჩვენი სიცოცხლე მეთისმეთად ხანმოკლეა იმისათვის,
რომ ცუდი გვინო დავლიოთ! – განა ეგრე არ არის?“ (გვ. 43).

„– თქვენ, ქართველები მაგარი ჯიგარი ხალხი ხართ, მაგრამ
ამასთანავე მაგარი არაფრაქთიქული... თქვენი ფასი არ იცით და
სულ სხვა ერის ფასეულობები გითაცებთ“ (.ვ. 44).

„– აი, ვინ ათრაკებს ჩემმართად! – უბრწყინდება თვალები
ჯეფს, – ეს არის ბომონდ!“ (გვ. 44).

„– ეგ ჩემო ძმაო, არი ლირიქა... ფოეზია... რომანტიკა... სანამ ამ
რომანტიკას რეალიზმით არ შეცვლით, სუ ეგრე მოგიცევთ მსხვერ-
პლის გაგება ისტორიის ორაქულის სამსხვერფლოზე...“ (გვ. 46).

ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის ფორმებისათვის ფშაურში

1. ძველ ქართულში ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმე-
ობითი საყრდენად საწყისს იყენებდა, რომელსაც ერთვოდა **-ოდ** სა-
ვრცობი და **-ე** მწკრივის ნიშანი (დავჰშთომოდე, დაჰშთომოდე, და-
ჰშთომოდა, დავჰშთომოდეთ, დაჰშთომოდეთ, დაჰშთომოდეს).
ახალ ქართულში აღნიშნული ზმნების წარმოებამ გარკვეული
ცვლილება განიცადა: „აღმოსავლურ კილოებსა და რამდენადმე სა-
ლიტ. ენაშიც მეშველი ზმნის ხმარება იქნა შემოღებული“ (შანიძე,
1980). თანაარსებობდა პარალელური ფორმები (მოვჰსწრებოდი//მო-
ვჰსწრებიყავი, მოჰსწრებოდი//მოჰსწრებიყავი, მოჰსწრებოდა//მო-
ჰსწრებიყო, მოვჰსწრებოდით//მოვჰსწრებიყავით, მოჰსწრებოდით//
მოჰსწრებიყავით, მოჰსწრებოდნენ//მოჰსწრებიყვნენ). ამჟამად სალი-
ტერატურო ქართულში მხოლოდ **-ოდ** სავრცობიანი წარმოებაა ნორ-
მატიული (ნორმ., I, 1970).

2. ფშაურ დიალექტში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები II თურმეობითს იწარმოებენ -**იყო** მეშველი ზმნით, „-**ოდა** სუფიქსიანი წარმოება ფშაურისათვის უცხოა“ (ცოცანიძე, 1978). XIX საუკუნეში ფშაურში ჩვეულებრივია მეშველზმნიანი წარმოება. ეს კარგად ჩანს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ერთი მხრივ, პოემებსა და ლირიკულ ლექსებში და, მეორე მხრივ, პროზაულ ტექსტებში (მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებში). ანალოგიური სურათი იკვეთება XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალებიდანაც (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961; ცოცანიძე, 1978).

3. ქიზიყში, ქვემო ქედში, XIX საუკუნის ბოლოს ემიგრირებული ფშაველების მეტყველებაში ზოგი რამ, რაც ფშაურისათვის იყო ნიშანდობლივი, დაიკარგა (მაგალითად, ხოლმეობითების თავისებური წარმოება, რაც სპორადულადღა შემორჩენილა უფროსი ასაკის ქედელ ფშაველთა მეტყველებაში); მაგრამ -**იყო** მეშველზმნიანი წარმოება ძირითადად შენარჩუნებულია. ვფიქრობთ, მეშველზმნიანი წარმოების შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყოს იმასაც, რომ აბორიგენი ქიზიყელების მეტყველებაში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითებთან -**ოდა** სუფიქსიანი წარმოების გვერდით დასტურდება -**იყო** მეშველზმნიანი პარალელური წარმოებაც.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

ქართულ-აფხაზური ოჯახების ახალგაზრდა წევრთა ენობრივი და ეთნიკური ბიოგრაფიები (საველე მასალა და მისი ანალიზი)

2019 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის („თანამედროვე აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი“ – OTG – I – 19 – 1128) მიზანი იყო გამოგვეკვლია თანამედროვე აფხაზურის, როგორც გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენის მდგომარეობა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში.

ზუმის პლატფორმისა და პირდაპირი კითხვების გამოყენებით ჩავიწერეთ ინტერვიუები, რომლებშიც აღწერილია ორი ახალგაზრდა რესპონდენტის ენობრივი და ეთნიკური ბიოგრაფიები. პირველი მათგანი **თ.ბ. თბილისში მცხოვრები აფხაზეთელი აფხაზია** (დედით – ქართველი. **თ.ბ.-ს** ოჯახი ქალაქ ოჩამჩირიდანაა. მისი დიდი წინაპრები მუჰაჯირობის დროს თურქეთში გადაასახლეს, მაგრამ ისინი ისევ აფხაზეთში დაბრუნდნენ. დევნილობის შემდეგ **თ.ბ.-ს** ოჯახმა თბილისში გააგრძელა ცხოვრება), ხოლო მეორე **ა.ჯ. – ბათუმში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალი** (დედით – აფხაზი, მამით – ქართველი).

ჩვენი აფხაზი რესპონდენტი **თ.ბ. ერთ-ერთი გამონაკლისია სხვა რამდენიმე აფხაზთან ერთად, ვისთვისაც რუსული ენა არ არის მთავარი საკომუნიკაციო საშუალება. იშვიათია ასევე მის მიერ გაცხადებული ქართულ-აფხაზური იდენტობა.** ის საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ გრძნობს თავს და მისთვის ერთნაირად მშობლიურია აფხაზური და ქართული ენები. **თ.ბ-ს** წინაპრებმა, ბაბუამ და მამამ კარგად იცოდნენ აფხაზური ენა, მაგრამ საშოვარზე გასული მამების სახლში არყოფნის გამო საოჯახო ენად ამა თუ ენის არჩევა ქალის ენობრივ კომპეტენციასა და მის არჩევანზე იყო დამოკიდებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აფხაზეთელი ბების და დედის ენობრივი მონაცემების მიხედვით ოჯახში უფრო ხშირად საუბრობდნენ რუსულად და მეგრულად, ამიტომ მამაკაცების მიერ თავიანთი მშობლიური ენის ცოდნის შვილებისთვის უფრო სრულყოფილად გადაცემა ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაც და მამაც თავიანთ შვილებს აფხაზურადაც ელაპარაკებოდნენ და ასწავლიდნენ კიდეც. რუსული ენის საოჯახო ენად გადაქცევა განპირობებული იყო იმით, რომ ის იყო ოჯახის წევრების განათლების ენა და აფხაზეთში იმ პერიოდისთვის ყველაზე მეტად გავრცელებული ენა. შესაბამისად, „ყველგან და ყველასთან საჭირო“ რუსულმა ადვილად დაიმკვიდრა ადგილი საოჯახო სივრცეშიც და თანდათან განდევნა მშობლიური აფხაზური ენა.

მეორე რესპონდენტის ბათუმში მცხოვრები აფხაზ მუჰაჯირთა **შთამომავლის ა. ჯ.-ს** მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების უფროსი და საშუალო თაობის უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ფლობს აფხაზურ ენას, მაგრამ არ, ან ვერ ლაპარაკობს. მუჰაჯირთა ახალგაზრდა და უმცროსი შთამომავლების მცირე

ნაწილმა იცის მშობლიური ენა, მაგრამ ასევე ვერ იყენებს მას. შესაბამისად, სხვადასხვა ასაკის ადამიანებში მშობლიური ენის ცოდნა აკუმულირებულია უკიდურესად ვიწრო წრეში და მისი თუნდაც საოჯახო სივრცეში გაჟღერება იშვიათად ხდება. სამწუხაროდ, ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში აფხაზური ენა გაქრობის პირასაა. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ამ რეალობის განმაპირობებელ მთავარ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ: **მასობრივად ქართულენოვანი გარემო, ხშირი ქართულ-აფხაზური ქორწინებები, აფხაზთა ისედაც მცირე კომპაქტური დასახლებების მოშლა ინტენსიური ურბანიზაციის შედეგად, აფხაზთა ძალზე მცირე რაოდენობა, აფხაზური ენის სირთულე, აფხაზთა დამოკიდებულება თავიანთი მშობლიური ენისადმი და ამ ენის დაბალი პრესტიჟი ქართულ და რუსულ ენებთან შედარებით. აჭარაში მცხოვრები აფხაზების უმრავლესობისთვის პირველი ენა ქართული ენაა, კერძოდ, ქართული ენის აჭარული დიალექტი** (მათი ნაწილი ქართულს მშობლიურ ენად აღიარებს, აფხაზურთან ერთად). **აფხაზთა უფროსი და საშუალო ასაკის გარკვეული ნაწილისთვის პირველი, ან მეორე ენის ფუნქციას ასრულებს რუსული ენა**, რასაც ვერ ვიტყვით უმცროს თაობაზე. სამივე თაობის წარმომადგენლებს შორის არიან თურქული და რომელიმე ევროპული ენის მცოდნეებიც. ამ ეტაპისთვის ბათუმში მცხოვრები აფხაზები თავიანთი ეთნიკური იდენტობის მარკირებას მხოლოდ **აფხაზური ენის მშობლიურ ენად აღიარებით, ან აფხაზური გვარის ტარებით გამოხატავენ**.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებით, თბილისსა და ბათუმში მცხოვრები ქართულ-აფხაზური ოჯახების ახალგაზრდა წევრთა ნაამბობით დასტურდება, რომ თანამედროვე აფხაზური ენა აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებსა და ასევე თბილისში მცხოვრებ აფხაზთა შორის გაქრობის პირას მყოფი ენაა.

ახალგაზრდა აფხაზის – თ.ხ.-ს სურვილი, რომ უკეთესად ისწავლოს მშობლიური აფხაზური ენა და ასწავლოს თავის შვილსაც, არენს აფხაზური ენის გადარჩენის პერსპექტივას, თუ ეს მაგალითი იქნება განზოგადებული. ამასთანავე, აფხაზების სწორი დამოკიდებულება თავიანთი დედაენისადმი, მათი მონდომება და ასევე ქართული სახელმწიფოს ძალისხმევა, რომ შეინარჩუნოს კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი სახელმწიფო ენა, იქნება საფუძველი აფხაზური ენის გადარჩენისა და განვითარებისა.

ენაბრგვნილი, ენაბრკუა, ენა-ბრკვნავალი სიტყვების ისტორიისათვის ქართულში

ძველი ქართულის სამწერლო ძეგლებში, როგორც ახალში, გვხვდება დიალექტიზმები, მაგრამ, რადგან არ მოგვეპოვება ისტორიული დიალექტოლოგია, თანაც გადამწერები არ უთითებდნენ თავიანთ ვინაობას, ამიტომ ჭირს იმის მტკიცება, რომელი დიალექტის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდნენ ისინი.

მაგ., ძველ ქართულში დადასტურებული სიტყვების „ენამძიმე“, „ძლით -მზრახველი“ „ღრმაბაგე“, ბლუს მნიშვნელობით გვხვდება სიტყვები: I. **ენაბრგუნვილი, ენაა ბგუნვილი, ენაბრგუი, ენა ბრგვნილი.** II. **ენაბრკუ, ბრკუ, ენა ბორკილი.** III. **ენა – ბრკვნავალი.**

ქველში აღნიშნული მნიშვნელობით მითითებულია **ბრგუ; ენაბრგვნილი.**

ენაბრგვნილი სავარაუდოდ სამწერლო ენაში აჭარული დიალექტიზმი უნდა იყოს, რადგან დასტურდება XII– XIII საუკუნეების ცნობილი აჭარიდან გამოსული ქართველი მწერლის აბუსერიძე ტბელის ნაშრომში, „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“.

ვფიქრობთ, **ბრგუ** მომდინარეობს ქართველური წარმომავლობის პოლისემიური ბორგ- ფუძისაგან. შდრ. ბორგა „ცბა“, გაგიჟება, ჭკუაზე შემლა, შეცთომა (ი. აბულაძე), მოუსვენრობა, შფოთვა (ქველი). შდრ. **ბურგალი** თავაშვებული თამაში (გურული., ლეჩხუმური., ქვ.-იმერული), **ბორგისი** ავეჯის (მაგიდის, სკამების) რყევა ფეხების უსწორ-მასწორობის გამო (გურული).

II. ენაბრკუ, ბრკუ, ენა ბორკილი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ სიტყვისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *ბარკ- „შეკვრა, დაბრკოლება“ (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, მ. ჩუხუა).

ძველ ქართულში **ბრკუმა** || **ბრკომა**, ბრკოლა ფუძიანი ლექსემები „ფერხების, „საკვრელის“ შინაარსით **ფეხ** და **ენა** სიტყვასთან მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქმნის და ფართოდ გავრცელებული ლექსემაა. ჩვენი აზრით, **ენაბრკუ** || **ენაბრგუ** ლიეზონის საფუძველზე უნდა იყოს მიღებული, ხოლო შემდეგ რთულ სიტყვათა მეორე ნაწილს უნდა ეტვირთა მთლიანი კომპოზიტის შინაარსი და შესაბამისად მივიღეთ **ბრკუ** || **ბრგუ**.

ამავე წარმომავლობისა ჩანს **ენა-ბრკუნვალი**. ბრკუნ- ფუძეც დაკავშირებული უნდა იყოს **ბრკუმა > ბრკუნა** ზმნასთან. **მ**-ს ადა **ნ**-ს როგორც ჰომოგენური ბგერების შენაცვლება ყველა პოზიციაში ქართლისათვის დამახასიათებელი ცნობილი მოვლენაა.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

კიდევ ერთხელ – ენის სიწმინდისათვის

„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ (გრიგოლ ორბელიანი).

ენის გადარჩენის, ენის სიწმინდის საკითხი არაერთხელ წამოჭრილა ქართველი ხალხის წინაშე. ისტორიული ურთიერთობები (ნებაყოფლობითი თუ შემოსევით-დამპყრობლური) ენობრივი შრეების სახით ასახულია კიდევ ლექსიკაში (არამეული, ებრაული, ბერძნული, არაბულ-სპარსული, თურქული, რუსული...).

დღეს, საყოველთაო ურთიერთობებიდან, გლობალიზაციიდან გამომდინარე, ქართული სიტყვების ადგილს იკავებს და ბატონდება ინგლისური ლექსიკა, ბარბარიზმებით გაივსო „თინეიჯერთა“ (არა მარტო „თინეიჯერთა“, – პრესის, მასმედიის, მეცნიერთა...) მეტყველება, სამწუხაროდ, თითქმის ყველა სფეროში ასეა. ინტერნეტი, – თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, ახალი ტერმინები და ცნებები მოაწყდა ენას, ძირითადად, ინგლისური ენის მეშვეობით. როგორც ბოლო ათი წლის კვლევებმა აჩვენა, სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული ტერმინების 90 პროცენტი შესაბამისი ინგლისური ტერმინების ტრანსლიტერირებული ვარიანტებია, არაფერი რომ არ ითქვას დაწესებულებების, მაღაზიების, სასტუმროების... აბრების წარწერებზე...

დღეს ყოველდღიურად, ჩვეულებრივ გვეხმის (და რატომღაც, უკვე აღარ გვჭრის ყურს, – პირიქით, „განათლებულობის“, „მაღალი სოციალურ-ინტელექტუალური ფენის“, – „ელიტარულობის“ ხაზგასმული გამოხატულების საშუალებაა): ბენეფიციარი, თერმოსკრი-

ნინგი, თინეიჯერი, თოქშოუ, დიჯეი, დრაივი, ემერჯენსი, ესკალაცია, ვორქშოპი, კასტინგი, კორექცია, კლასტერი, ლეტალური, ლოქდაუნი, მარკეტინგი, მესიჯი, ნიუსი, პრინტერი, ტრენდი, ტრენინგი, ფრენდი, ქოუჩი, შოუ, შოურუმი...

სამწუხაროდ, ეს არა მარტო ლექსიკას ეხება (რომელსაც ენა თავის გრამატიკულ „ქურაში“ ხარშავს (დალაიქება, დაკლიკვა, დათაგვა, დაფორვარდება, ვალიდურობა, კრეატიული, სენსიტიური...), არამედ აზრის გადმოცემის მანერასაც, მორფოლოგიასაც. და ეს ხდება, თითქოსდა, ბუნებრივად. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფრიად მგრძნობიარე („სენსიტიური“) თემაა, ფრთხილად უნდა მოვეპყროთ ენას, უნდა დავიცვათ იგი გაღარიბებისა და დაბინძურებისაგან. ქართული ენის ზოგადი დახასიათებისას არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ: „ახალი ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია და სადა, ხალხურია და დახვეწილი. ამ სადა, დახვეწილ ქართულს შეუძლია არა მხოლოდ მხატვრული სახეები გამოკვეთოს, მას შესწევს ძალა საჭირო სიზუსტითა და სიღრმით გადმოსცეს მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ურთულესი მოძრაობა და ფაქიზი ნიუანსები!..“

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

სახელ მანანას სემანტიკის საკითხი ქართულში და მასთან დაკავშირებულ რიგ სამეცნიერო ფიტონიმთა განახლების აუცილებლობა

სახელი „მანანა“ ფიგურირებს არაერთ ქართულ ფიტონიმში: **ფუტკრის მანანა** (დ. ჩუბინაშვილი 1985); *ქართლ. მანანა* (გ. შატბერაშვილი 1975); *ზ. -იმერ. მანანა* (ქ. ძოწენიძე 1974); *სამეცნიერო (ოფიციალური) სახელები. მანანა Lecanora esculenta* Eversm; **მანანა Erica**; **ჩვეულებრივი მანანა Calluna vulgaris** (L.) Huil.; **წყლის მანანა Glyceria**; **მანანის იფანი Fraxinus ornus** L. (ალ. მაყაშვილი 1961); **ხემა-ნანა** (მცენარეთა სისტემატიკა 1973); **ხემაგვარი მანანა Erica arborea** L. (საქართველოს ფლორა 1975). ამ სამეცნიერო ტერმინთა უმეტესობა რუსულ ფიტონიმთა კალკია.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახელ „მანანას“ დადასტურება რიგ არამონათესავე მცენარეთა ფიტონიმებში განპირობებულია ამ სახელის პოლისემიურობით, რაც, თავის მხრივ, ბიბლიური ტექსტებიდან იღებს სათავეს (ასეა სხვა ენებშიც) და მრავალფეროვან სურათს ქმნის ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკაში. მეტად საინტერესო ჩანს სახელ „მანანას“ შემცველ ფიტონიმთა მოტივაციებიც.

საკვლევ მასალაში ყურადღებას იქცევს მცენარეთა სამეცნიერო (ოფიციალური) სახელების ბუნდოვანება, რადგან, როგორც საყოველთაოდ მიღებულია, მცენარეთა კონკრეტულ სახეობებსა და გვარებს არა მხოლოდ მკაფიო და ზუსტი, არამედ ერთადერთი სამეცნიერო სახელი („პასპორტი“) უნდა მოეპოვებოდეს, ამიტომ აუცილებლად მივიჩნევთ მათ გასწორება-განახლებას.

აღნიშნულ სამეცნიერო სახელთა ცვლილებები „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონში“ ამგვარადაა წარმოდგენილი: **მანანა** (ბიბლ.) > **ბიბლიური მანანა** *aspicilia esculenta* L.; ჩვეულებრივი მანანა > **ჩვეულებრივი კალუნა** *Calluna vulgaris* (L.) Huil.; წყლის მანანა > **გლიცერია** *Glyceria*; მანანის იფანი > **მანანის იფანი** *Fraxinus ornus* L.; მანანა > **ერიკა** *Erica*; ხემანანა, ხემაგვარი მანანა > **ხემაგვარი ერიკა** *Erica arborea* L.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

სამი აფიქსური წარმოების შესახებ მეგრულში

ჩვენი მსჯელობა ეხება შედარებით იშვიათი ხმარების აფიქსებს.

1. -**ალ** სუფიქსი გამოიყოფა რამდენიმე დერევატში:
ბიკალი „ბღენძია“ – შდრ. **ბიკი** „ბღენძი“, **ბიკინი** „გაბღენძვა“
ბუჯალი „ბუდისებური, ბუდესავით“
მგიძგალი „წაწვეტებული“
მგინძგალი „კბილებდაკრეჭილი“

2. პრეფიქს-სუფიქსი (კონფიქსი) **ნა** – **უა** რამდენიმე სიტყვის საწარმოებლად გამოიყენება:

ნაჟირუა „ტყუპისცალი“ **ჟირ-** („ორი“) ფუძისაგან არის ნაწარმოები, „ტყუპის“ მნიშვნელობით კი მეგრულში ქართულისებური ტყუპი//ტყუბი გამოიყენება.

ნაბოლუა „ნაბოლარა“; აქ ქართული **ბოლ-** ფუძეა გამოყენებული (მეგრული სიტყვის ანალიზი სხვაგვარადაც შეიძლება : ***ნაბოლოა** → **ნაბოლუა**).

ნატარუა „უტარო, ნატარალი“ (შდრ. ქართული **ტარი**).

ნაშილუა „ნადროშალი“, „დროშის ნაფლეთი“ (არ არის გამოცხადებული საობიექტო მიმღებობასთან კავშირი: მეგრ. **შილი** „ნაქსოვი, ქსოვილი“).

ნაფხოზუა „შემოდგომაზე დაბადებული ხბო“ (ო. ქაჯაია).

უკანასკნელ შემთხვევაში **ნა – უა** კონფიქსი კი გამოიყოფა, მაგრამ ფუძის მნიშვნელობა საძიებელია.

3. -**ანა** სუფიქსის გამოყენების საინტერესო მაგალითია **ჰიფანა** „წვრილ-წვრილი“. სიტყვა ემყარება მეგრული „წვრილის“ აღმნიშვნელ სიტყვას **ჰიფე** (ყურადღებას იქცევს დერივატის სემანტიკა).

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**